

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერიძის სახელობის
სასწავლო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი

ეკა თურმანიძე

სასკოლო კონფლიქტები და მათი გადაჭრის გზები

ნაშრომი შესრულებულია განათლების მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: განათლების აკადემიური დოქტორი, ასოც. პროფესორი - რომან
აბაშიძე

ბიჭაური 2021

ანოტაცია

ეკა თურმანიძის სამაგისტრო ნაშრომში განხილულია, სკოლის მოსწავლეებს შორის კონფლიქტური სიტუაციები, მისი სახეები, აგრესიის გამომწვევი მიზეზები და მათი მოგვარების გზები.

წინამდებარე ნაშრომში დეტალურადაა განხილული წამოჭრილი პრობლემა - კონფლიქტური სიტუაციების სიხშირე სკოლაში, გარდატეხის ასაკის თავისებურებები მოსწავლეებში, ბულინგი და მისი სახეები, თანმიმდევრულად არის აღწერილი პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზები.

ნაშრომის შესავალში დასაბუთებულია თემის აქტუალობა, კვლევის მიზანი და ამოცანები, განსაზღვრულია კვლევის ობიექტი. ჩამოყალიბებულია ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა.

ნაშრომში მოცემული და განზოგადებულია კვლევის შედეგები, რომელიც თეორიულად, ასევე პრაქტიკულად თვალსაჩინო და მნიშვნელოვან მასალას აწვდის მოქმედ და მომავალ პედაგოგებს სასწავლო პროცესში კონფლიქტური სიტუაციებით წამოჭრილი პრობლემების წარმატებით გადასაჭრელად.

ნაშრომი შედგება: შესავლის, სამის თავის, კვლევის, დასკვნებისა და გამოყენებული ლიტერატურისაგან.

Annotation

Eka Turmanidze's master's work discusses conflict situations between schoolchildren, its types, causes of aggression and ways to solve them.

This paper discusses above-mentioned problem in detail - the frequency of conflict situations at school, the peculiarities of the turning age in students, bullying and its types, and suggests alternative ways of solving the problem.

The introduction of the paper contains the relevance of the topic, the aim and tasks of the research, and defines the object of the study. The practical significance of the paper is demonstrated.

The results of the research are presented and generalized in the paper, which theoretically as well as practically provides visible and important material to current and future teachers to successfully solve the problems raised by conflict situations in the learning process.

The paper consists of: Introduction, III - Chapters, Research, Conclusions and References.

შინაარსი

შესავალი.....	6
თავი I.....	10
გარდატეხის ასაკის თავისებურებები და აგრესიის გამოვლინებები.....	10
ბავშვთა აგრესია და მისი სახეები.....	14
გენდერული განსხვავებები.....	15
ბავშვებში აგრესიის გამომწვევი შესაძლო მიზეზები.....	16
თავი II.....	18
ბულინგი.....	18
ბულინგის არსი.....	18
ბულინგის ტიპები.....	20
კიბერბულინგი.....	21
ბულინგში მონაწილე პირები.....	26
ბულინგის მსხვერპლად გახდომის საფრთხის წინაშე მდგომი ბავშვები.....	28
ბულინგის განმახორციელებელი ბავშვები - ბულერები.....	29
იარლიყების თავიდან არიდების მნიშვნელობა.....	29
როგორ ამოვიცნოთ ბულინგი?.....	30
ბულინგის გრძელვადიანი შედეგები.....	33
ბულინგის პრევენცია.....	35
თავი III.....	38
კონფლიქტი.....	38
კონფლიქტის ეტაპები.....	40

კონფლიქტის მოგვარების სტრატეგიები და აგრესიის მართვა.....	44
მედიაცია.....	50
არბიტრაცია.....	51
უსაფრთხო და მხარდამჭერი გარემოს შექმნა სკოლაში.....	51
ექსპერიმენტული კვლევა.....	54
დასკვნები.....	57
გამოყენებული ლიტერატურა.....	61
დანართი N1.....	63

შესავალი

სასკოლო კონფლიქტები (ლათ. Conflicts - შეჯახება) თანამედროვე რეალობაში საკმაოდ აქტუალური პრობლემაა. ამას ადასტურებს საგანმანათლებლო დაწესებულებებში შექმნილი ვითარება. პრობლემის სათავედ შეიძლება მივიჩნიოთ ბავშვის აღზრდა და გარემო პირობები. თითოეული ასაკი თავისთავად ფსიქიკური განვითარების თვისობრივად განსხვავებული ეტაპია და ხასიათდება მრავალი ცვლილებით, რომელიც განაპირობებს ხასიათის თავისებურებებს. ნაშრომში საუბარი იქნება სწორედ იმ მიზეზებსა თუ გამოწვევებზე, რომლებსაც მოზარდობის პერიოდში ვაწყდებით, ასევე იმ ფაქტორებზე, რომლებიც იწვევს სასკოლო კონფლიქტს.

სასკოლო სისტემის ფარგლებში კონფლიქტი განსხვავდება სხვა ნებისმიერი ორგანიზაციის კონფლიქტისაგან, რადგან მასში ბავშვები მონაწილეობენ. კლასში, სადაც სხვადასხვა ინტერესების მოსწავლეები არიან ან განსხვავებული მოსაზრებები აქვთ ამა თუ იმ თემასთან დაკავშირებით, უდაოდ ჩნდება კონფლიქტისთვის „ხელსაყრელი“ გარემო.

პრობლემა მართლაც აქტუალურია და მეტისმეტად სენსიტიური, იმიტომ რომ, ყოველივე უკავშირდება ადამიანის ფორმირების პროცესს, პიროვნებად ჩამოყალიბებას. ნებისმიერი კონფლიქტი თუ ძალოდობა მოზარდებს შორის, შეიძლება გახდეს მაპროვოცირებელი ზრდასრულობის ასაკში სხვადასხვა კომპლექსებისა, ფსიქოლოგიური დარღვევებისა თუ სხვა პრობლემებისა. ამიტომაც, არსებითად მნიშვნელოვანია, სასკოლო კონფლიქტების აღმოფხვრა მოხდეს ლოკალურად მაქსიმალურად მოკლე დროში კონსტრუქციული გზით. ამისთვის კი აუცილებელია ამ მიმართულებით მოსწავლის, მშობლის, ზოგადად სკოლის, ასევე, საზოგადოების ინფორმირებულობა. წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომიც შეიძლება ერთ-ერთ მოკრძალებულ წვლილად ჩაითვალოს სასკოლო კონფლიქტების და მათი გადაჭრის გზების შესახებ ცნობიერების ამაღლების საქმეში

უშუალოდ სასკოლო ცხოვრებასთან რომ არ გვეკონდეს შეხება, მხოლოდ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე დაყრდნობითაც ვიცით, რომ დღესდღეობით სასკოლო

კონფლიქტების პრობლემა მეტისმეტად აქტუალურია. პრობლემის აქტუალობას რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს:

თანამედროვე რეალობაში თავი იჩინა მშობლებსა და შვილებს შორის გაუცხოების პრობლემამ, რაც მათ შორის ნაკლები კომუნიკაციით აიხსნება. ოჯახში არსებულ ატმოსფეროს ბავშვის ფსიქიკურ-ფიზიოლოგიურ თუ სულიერ განვითარებაზე უდიდესი და გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ოჯახის წევრებს ბავშვი აკვირდება როგორც მოდელებს, მათგან ითვისებს ყოველგვარ საქციელს. მოზარდისთვის მშობლების ნებისმიერი სახის ქცევა იქცევა ნორმად, რასაც შემდგომ საკუთარი საქციელით ავლენს, იქნება ეს მისაღები თუ მიუღებელი. ამგვარად, მსგავსი პრობლემის მქონეთ უჭირთ თანატოლებთან ჯანსაღი ურთიერთობის დამყარება.

მოზარდის ჩამოყალიბებაზე ზემოქმედებას ახდენს სოციალური გარემოც: ხალხური ანდაზის მიხედვით „ხარი ხართან რომ დააბა, ან ზნეს იცვლის ან ფერსაო“ - ამგვარად, მოზარდის პიროვნული ფორმირება ხდება საზოგადოების ზეგავლენითაც.

ზემოთქმულთან ერთად მეტად ხშირი და უმნიშვნელოვანესია ე. წ. „გაჯეტების“ როლი მოზარდის ფსიქიკური ჩამოყალიბების პროცესში. ტექნიკური მოწყობილობების ინტენსიურმა გამოყენებამ ბავშვები მიდრიკა სოციალური იზოლაციისკენ, ხოლო ურთიერთობის დეფიციტმა გამოიწვია აგრესიული, ეგოისტური დამოკიდებულება ერთმანეთის მიმართ. აღნიშნულიდან გამომდინარე, პრობლემის სენსიტიურობისა და აქტუალობის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია მისი ფართოდ გაშუქება, ღრმა ანალიზი და გადაჭრის გზების ძიება. სწორედ ხსენებულ მიზანს ემსახურება სამაგისტრო ნაშრომი. ჩვენი მიზანია დეტალურად განვიხილოთ სასკოლო კონფლიქტები, ასევე, დავსახოთ პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზები.

თემა „სასკოლო კონფლიქტები“ ჩემთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და საინტერესოა, რამდენადაც მასთან უშუალოდ მიწევს შეხება. წლებია, რაც სკოლაში ვმუშაობ და მანდატურის პოზიციიდან ვაკვირდები მიმდინარე სასწავლო პროცესებს, ვაანალიზებ მოსწავლეთა ქცევის თავისებურებებს. საკუთარ

გამოცდილებაზე დაყრდნობით, თამამად შემძლია დავასკვნა, რომ სასკოლო კონფლიქტების პრობლემა თანდათან უფრო ღრმავდება და მასშტაბურ ხასიათს იძენს. რა იწვევს აღნიშნულ პრობლემას? - პასუხი არაერთგვაროვანია. მრავალ მიზეზთაგან იკვეთება რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი, კერძოდ, ოჯახური გარემო, სოციალური გარემო და მაღალგანვითარებული ტექნოლოგიების ხშირი გამოყენება, ამასთან ერთად, მიიჩნევა, რომ სასკოლო კონფლიქტები გამოწვეულია ასაკობრივი სირთულეებისგან.

ასაკი ხასიათდება ბავშვის ცხოვრების პირობების თავისებურებებით, მისი განვითარების მოცემულ ეტაპზე წარდგენილი მოთხოვნებით, გარშემომყოფ ადამიანებთან მისი დამოკიდებულების თავისებურებით, ბავშვის პიროვნების ფსიქოლოგიური სტრუქტურის განვითარების დონით, მისი ცოდნისა და აზროვნების საფეხურითა და განსაზღვრულ ფიზიოლოგიურ თავისებურებათა ერთობლიობით. ასაკობრივი მახასიათებლები ბავშვზე მოქმედებს არაპირდაპირ. ერთსა და იმავე გარემო პირობებს სხვადასხვაგვარი გავლენა აქვს სხვადასხვა ბავშვზე იმის მიხედვით, თუ როგორია მათი ფსიქოლოგიური მზაობა.

კონფლიქტის ერთ-ერთი გავრცელებული მიზეზია მოზარდთა აგრესიული ქცევა. ადამიანის აგრესიულ პიროვნებად ჩამოყალიბებას განაპირობებს ცხოვრების განმავლობაში ნეგატიური ფაქტორების ზემოქმედება, რასაც გულისხმობს ალბერტ ბანდურა თავის სოციალური დასწავლის თეორიაში: ადამიანის ქცევის მექანიზმები, დაწყებული ჩვილობის ასაკიდან, ყალიბდება სხვა ადამიანების ქცევაზე დაკვირვების შედეგად. ერთი მხარის აგრესიული ქცევა, მეორე, შედარებით სუსტი მხარის მიმართ იქცევა ბულინგად.

როლანდის (Roland, 1988) განმარტებით, ბულინგი ესაა ხანგრძლივი ფიზიკური და ფსიქიკური ძალადობა, ერთი ინდივიდის ან ჯგუფის მხრიდან მეორე ინდივიდზე, რომელსაც არ შეუძლია თავის დაცვა კონკრეტულ სიტუაციაში. ეს განმარტება სრულად აღწერს საკითხის პრობლემურობას ნებისმიერ ეპოქასა და სასკოლო ასაკში.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, მიუხედავად პრობლემის აქტუალობისა და „თანამედროვეობისა“, საკითხთან დაკავშირებით არსებული ლიტერატურა მცირე

აღმოჩნდა. წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში შესაბამისი თეორიული მასალის მოძიებისას, მივაკვლიეთ შედარებით ძველი პერიოდის ფსიქოლოგთა და ამ თემით დაინტერესებული სხვა მკვლევარების ნაშრომებს. საკითხთან დაკავშირებით თანამედროვე მეცნიერული კვლევა და მოქმედი ფსიქოლოგების/სხვა სპეციალისტების ნაშრომები მწირია. ნაშრომზე მუშაობისას მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საკუთარმა პირადმა სამუშაო გამოცდილებამ, რადგანაც, როგორც ზემოთ აღვნიშნე, წლებია უშუალო შეხება მაქვს საკვლევ საკითხთან.

სამუშაო გამოცდილების გათვალისწინებით, ასევე თემასთან დაკავშირებით მოძიებული ლიტერატურისა და ინფორმაციის საფუძველზე, მიზნად დავისახეთ შემდეგი სახის ამოცანების გადაჭრა: გვეჩვენებინა სასკოლო კონფლიქტების, ბულინგის არსი, მისი გამომწვევი მიზეზები, ტიპები, აგრეთვე დაგვესახა სასკოლო კონფლიქტების გადაჭრის გზები.

ნაშრომზე მუშაობისას გამოვიყენეთ კვლევის შემდეგი მეთოდები: 1) ისტორიული და პედაგოგიკური ლიტერატურის შესწავლა; 2) ანკეტირება: 2) მონაცემთა შედარებითი ანალიზი.

მოზარდებს შორის კონფლიქტის საფუძვლიანი შესწავლისათვის აუცილებელია საკითხის ძირეული კვლევა, რომლის შედეგებიც მოხმობილი იქნება ნაშრომში.

სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას ჩვენს მიერ გამოყენებულია ანკეტირების გზით გამოკითხვის კვლევის მეთოდი. (იხ. დანართი #1)

ნაშრომი შედგება შესავლის, სამი თავის, დასკვნების, კვლევის და გამოყენებული ლიტერატურისგან.

თავი I

გარდატეხის ასაკის თავისებურებები და აგრესიის გამოვლინებები

ადამიანის ცხოვრებაში მოზარდობა მიიჩნევა ყველაზე რთულ პერიოდად, რადგან ეს არის გარდამავალი პერიოდი ბავშვობასა და მოწიფულობას შორის. ამ პერიოდში მოზარდის ორგანიზმში დიდი ცვლილებები მიმდინარეობს, როგორც ფიზიკური, ასევე ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. მისი აზროვნება გადადის ახალ ფორმალური ოპერაციების სტადიაზე. გარდატეხის ასაკში მოზარდები იმეცნებენ საკუთარ თავს, გარშემომყოფებს და სხვების აზრის წვდომას ცდილობენ. იცვლება ურთიერთობა მშობლებთან, თანატოლებთან. ისინი ითხოვენ თანასწორუფლებიან ურთიერთობას. აღსანიშნავია, რომ თუ მშობლები ბავშვს აძლევენ საკუთარი აზრის გამოთქმის უფლებას, ანუგეშებენ, უსმენენ და ეხმარებიან რთულ სიტუაციებში, მოზარდები უფრო თავდაჯერებულები და ემოციურად გაწონასწორებულები ხდებიან.

ზემოთ ხსენებულიდან გამომდინარე, მოზარდობის ასაკში იზრდება კონფლიქტების წარმოშობის რისკი, რომელიც შეიძლება გამოვლინდეს ოჯახში, სკოლაში, გარშემომყოფებთან და ა. შ.

მოზარდობის ასაკში ბავშვი არაპროგნოზირებადია, პრეტენზიული და მეამბოხეა. მოზარდის პრეტენზიები ახალ უფლებებზე, უპირველეს ყოვლისა, მოზრდილებთან ურთიერთობის მთელ სფეროზე ვრცელდება. მოზარდი ეწინააღმდეგება მოთხოვნებს, რომლებსაც ადრე ხალისით ასრულებდა: იგი შეურაცხყოფილია და პროტესტს აცხადებს, როცა მის დამოუკიდებლობას ზღუდავენ და საერთოდ, როგორც „პატარას“, მზრუნველობენ, აკონტროლებენ, ცდილობენ მის დამორჩილებას, სჯიან, ანგარიშს არ უწევენ მის ინტერესებს, ურთიერთობას, აზრს და ა.შ. მოზარდს უჩნდება საკუთარი ღირსების გამწვავებული გრძნობა, იგი თავს შეიცნობს ადამიანად, რომლის დამცირება, დაქვემდებარება, დამოუკიდებლობის წართმევა არ შეიძლება.

მოზარდობის პერიოდი საინტერესოა იმ თვალსაზრისითაც, რომ მისი პიროვნება ხშირად იქცევა ბავშვებისთვის მოდელირების საფუძვლად. ზნეობრივი ნორმებისა და მათი შესრულებისადმი განსჯითი და ემოციური დამოკიდებულება ბავშვს უვითარდება მოზრდილებთან ურთიერთობის მეშვეობით. მოზრდილი ეხმარება ბავშვს გაიაზროს გარკვეული ზნეობრივი ქცევის რაციონალურობა და აუცილებლობა, თავისი დამოკიდებულებით ბავშვის საქციელისადმი მოზრდილი სანქციას აძლევს ქცევის გარკვეულ ტიპს, მოზრდილზე ემოციური დამოკიდებულების ფონზე ბავშვს უვითარდება აღიარების პრეტენზია.

აღიარების პრეტენზია ადამიანის მოთხოვნილებათაგან ერთ-ერთი ყველაზე უფრო ნიშანდობლივია. იგი აგებულია მისწრაფებაზე, მიიღოს მაღალი შეფასება თავისი მიღწევებისა, რომლებიც უპასუხებს საზოგადოების სოციალურ მოთხოვნებს.

„აღიარების არარეალიზებულ პრეტენზიას, შეუძლია მიგვიყვანოს ქცევის არასასურველ ფორმებამდე, როდესაც ბავშვი განზრახ იგონებს ტყუილს ან ტრაბახობს.“(მუხინა, 1989:220)

აღიარების რეალიზების სურვილი იმაში ვლინდება, რომ ბავშვები სულ უფრო ხშირად მიმართავენ მოზრდილებს ქცევის შედეგებისა და პირადი მიღწევების შესაფასებლად. ამ შემთხვევაში, ბავშვისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მხარდაჭერა. არ შეიძლება ბავშვს თავს დავატეხოთ ასეთი ტიპის იარლიყები: „შენ ვერ შეძლებ ამის გაკეთებას“, „შენ ეს არ გამოგივა“, ხელს ნუ მიშლი ფუჭი შეკითხვებით“ და ა. შ. მოზრდილის ასეთმა უპატივცემულო რეპლიკებმა შეიძლება მიიყვანოს ბავშვი საკუთარი თავის რწმენის დაკარგვამდე. შეიძლება ბავშვს გამოუმუშავდეს არასრულფასოვნების კომპლექსი, თავისი უსუსურობის განცდა. ეს უკანასკნელი კი, ადამიანის ერთ-ერთი ყველაზე რთული მორალური ნაკლოვანებათაგანია, რომელიც აფერხებს მის ურთიერთობას სხვა ადამიანებთან, ქმნის მძიმე შინაგან გუნება-განწყობილებას.

ხშირად ნებით თუ უნებლიეთ ილახება მოზარდის ღირსება, რის საპასუხოდაც იგი მიმართავს აგრესიას, რათა საკუთარი მნიშვნელობა დაუმტკიცოს საზოგადოებას. ამგვარი „პროტესტი“ მოზარდს ამზადებს საზოგადოებასთან „შესახვედრად“, რაც

არანაკლებ მნიშვნელოვანია აღზრდის პროცესში. რიგ შემთხვევებში, მოზარდის თუნდაც აზრსმოკლებულ პროტესტს საზოგადოება მეტისმეტად კრიტიკულად ხვდება, რაც მოზარდში იმედგაცრუებას იწვევს და ზოგჯერ იგი რადიკალურ ზომებს მიმართავს (სუიციდი, სახლიდან გაქცევა, წამალდამოკიდებულება, თამბაქოს მოხმარება, სხვადასხვა სუბკულტურაში გაწევრიანება და ა.შ.)

მოზარდის სოციალური მოწიფულობის განვითარება საზოგადოებრივად აუცილებელია მომავალი გამოწვევებისთვის მოსამზადებლად. ეს რთული პროცესია, რომელსაც სჭირდება ხანგრძლივი პერიოდი. მხოლოდ ასეთ ვითარებაში შეუძლია მოზარდს, ისწავლოს „უფროსივით“ მოქმედება, ფიქრი, სხვადასხვა დაბრკოლების გადალახვა, ადამიანებთან ჯანსაღი ურთიერთობის დამყარება.

ნეკლიუდოვასა და ვოლბერგის მიხედვით, ბავშვთა შორის სოციალური ურთიერთობის შემთხვევებში ბრძოლის ექვსი განსხვავებული ფორმა იჩენს თავს: პროტესტი, თავდასხმა, წაგლეჯა, გაბრაზება, მუქარა და ჩხუბი. მათ შორის ყველაზე უფრო ხშირად პროტესტის შემთხვევებს აქვთ ადგილი.

„ჩვენთვის ამჟამად განსაკუთრებით ის გარემოებაა საინტერესო, რომ პროტესტის აღნიშნულ მოტივთა შორის უფროს ბავშვებში ყველაზე უფრო ხშირად სოციალური ხასიათის მოტივები გვხვდება, ხოლო უმცროსთა შორის პირველი ადგილი პირადი ხასიათის მოტივებს ეკუთვნის. ამრიგად, აქედანაც ნათელი ხდება, რომ ბავშვთა სოციალურ განვითარებას ჩვენს პერიოდში ობიექტური საფუძველის გაძლიერების ტენდენცია ახასიათებს.“ (უზნაძე, 2005:368)

კონფლიქტების რაოდენობა კიდევ უფრო იზრდება მოზარდობის ასაკში და მისი წარმოშობის მიზეზები ბევრ ასპექტში შეიძლება ვეძიოთ: კოგნიტურ თავისებურებებში, მასწავლებლებისა და მშობლების არასწორ მიდგომებში. ერთ-ერთი მიზეზი ისიცაა, რომ მოზარდილები სათანადოდ ვერ აფასებენ მოზარდებს, ეს კი უარყოფითად აისახება მათი თვითრეალიზაციის ხარისხზე და იწვევს აგრესიის ზრდას.

„ მოზარდობის პერიოდის დასაწყისში ხშირად იქმნება კონფლიქტური სიტუაცია. თუ ზრდასრული ურთიერთობს მოზარდთან, როგორც ბავშვთან, ეს ურთიერთობა,

ერთი მხვრივ ეწინააღმდეგება აღზრდის ამოცანებს და აფერხებს მოზარდის სოციალურად სწორ განვითარებას, ხოლო, მეორე მხრივ, იგი ეწინააღმდეგება საკუთარი თვითშეფასების შესახებ ბავშვის წარმოდგენასა და მის პრეტენზიებს ახალ უფლებებზე. სწორედ ეს წინააღმდეგობა წარმოადგენს იმ კონფლიქტთა სათავეს, - რომლის საფუძველიც არის შეხედულებათა სხვადასხვაობა - რომელიც წარმოიშობა მოზრდილისა და მოზარდის ურთიერთობაში.“(პეტროვსკი, 1977:135)

როგორც ამერიკელი ფსიქოლოგი ალბერტ ბანდურა თავის სოციალური დასწავლის თეორიაში ამბობს, მოზარდები სწავლობენ მოდელებზე დაკვირვებით. თუმცა ისინი აკვირდებიან მოდელების ქცევის შედეგებსაც, რაც აისახება მათს მომავალ ქცევებში. მოდელი შეიძლება იყოს მშობელი, მეგობარი, მასწავლებელი და ა.შ. და ასევე ლიტერატურული პერსონაჟი ან ფილმის გმირი.

ხშირად მოდელის ქცევა არ არის მისაღები, თუმცა მოზარდი ავტომატურად ითვისებს მას, რაც ამართლებს გამოთქმას „ბავშვი ოჯახის სარკეა“. როგორ გარემოშიც იზრდება ბავშვი, ისეთივე ხასიათი უყალიბდება და სოციუმთან ურთიერთობს ზუსტად იმგვარი წესებით. თუკი მოზარდის აგრესიულ ქცევას უფროსები ყვირილით ან მუქარით პასუხობენ, მაშინ ბავშვები ჩათვლიან, რომ არასასურველ ქცევაზე საჭიროა აგრესიული რეაგირება. ამისი ნათელი მაგალითია მსოფლიო ტირანები, რომლებიც სასტიკ გარემოში იზრდებოდნენ და მთელი ცხოვრების განმავლობაში ავლენდნენ ბავშვობაში დაგროვებულ აგრესიას.

აგრესიის გამოხატვა დღეს არავისთვისაა უცხო. ყოველდღიურად და ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვაწყდებით აგრესიულ ქცევას. აგრესიულობა ადამიანური ბუნების ნაწილია, თუმცა ბავშვების ამგვარი ქცევა მშობლებში პანიკას იწვევს და ისინი ყველანაირად ცდილობენ მათში ჩაახშონ ეს „სამარცხვინო“ ქცევები. უნდა ითქვას, რომ ზოგადად აგრესია შინაგანი პრობლემის გარეგანი გამოვლინებაა, ის არის სიმპტომი ემოციური არამდგრადობისა.

ადამიანისთვის მნიშვნელოვანია სხვებთან ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობა. მეგობრობის წყალობით ბავშვები სწავლობენ სოციალურ ნორმებს და ივითარებენ პატივისცემის გრძნობას. მიკროსოციალური ჯგუფების მეგობრობა V-VI

კლასებიდან ხდება. ისინი მუდამ ურთიერთობენ ერთმანეთთან და იზიარებენ ღირებულებებს. ზოგჯერ ისეც ხდება, რომ ზოგი მოსწავლე გაირიყება კლასიდან, რაც ძალიან დიდ საფრთხეს უქმნის მის შემდგომ ადაპტაციას სოციალურ გარემოში. გარიყული მოსწავლე ან აგრესიულობით გამოირჩევა ან ზედმეტად მორცხვი და ჩაკეტილია. აგრესიული ბავშვი გარიყვის შემდეგ კიდევ უფრო აგრესიული ხდება, ხოლო მორცხვი მუდმივი თავდასხმის ობიექტი. მოზარდები ბრაზს სხვადასხვანაირად გამოხატავენ, ზოგი ფიზიკურ ძალადობას მიმართავს, ზოგი მიმიკით, ზოგი უფროსებს თხოვს დახმარებას. მოზარდების უმეტესობა ბრაზს უფროსების მსგავსად გამოხატავენ, ან ტელევიზორის ყურებით იღებენ მაგალითს.

ბავშვთა აგრესია და მისი სახეები

„ყოველდღიურ მეტყველებაში სიტყვა „აგრესიით“ აღვნიშნავთ ქცევათა ფართო სპექტრს, ცინიკური კომენტარებიდან დაწყებული, ძალადობით დამთავრებული, ფსიქოლოგები კი ამ ცნებაში ისეთ ქცევას მოიაზრებენ, რომელიც სხვისთვის ზიანის მიყენებისკენ არის მიმართული (Baron & Richardson, 1994; Berkowitz, 1993)“ („განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებისთვის“, 2014:52)

აგრესიული ქცევა წინასწარ დაგეგმილი და მიზანმიმართულია. განზრახვის გარეშე მიყენებული ტკივილი აგრესია არ არის. აგრესიული ქცევა სხვისთვის ზიანის მიყენებას ისახავს მიზნად, იგი განსხვავდება ქცევისგან რომლის დროსაც ხდება საკუთარი უფლებების დაცვა.

ფსიქოლოგები გამოყოფენ პირდაპირ და ირიბ, ემოციურ და ინსტრუმენტულ აგრესიას (Bjorkvist, Osterman & Lagerspetz, 1994; Walker, Richardson & Green, 2000).

ირიბი აგრესია გულისხმობს ადამიანისთვის ზიანის არაპირდაპირ მიყენებას, მაგ: ჭორების გავრცელება.

პირდაპირი აგრესია გამოიხატება როგორც ფიზიკურად ასევე ვერბალურად (ჩხუბი ან მუქარა, შეურაცხყოფა)

ემოციური აგრესია - ნეგატიური ემოცია, მიმართული კონკრეტული ადამიანისკენ. გაბრაზებული ადამიანის ყვირილი ემოციური აგრესიაა.

ინსტრუმენტული აგრესია არის სხვისთვის საზიანო ქმედება, რომლის დროსაც აგრესია მიზანი არ არის. მაგ: სხვისი კრიტიკა საკუთარი თავის წარმოჩენისთვის, ანდა აგრესიული ქცევით თავის დაცვა.

გენდერული განსხვავებები

საზოგადოდ მიიჩნევა, რომ ბიჭები უფრო მეტად არიან მიდრეკილნი აგრესიისკენ, ვიდრე გოგონები, მაგრამ კაი ბიორკვისტის (Bjorkvist, 1994) ამ კუთხით ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ მათ შორის არცთუ მნიშვნელოვანი განსხვავებაა. არსებობს სხვა კვლევის შედეგებიც, სადაც გოგონებმა უფრო მეტად გამოავლინეს აგრესიულობა. ისინი მეტად ეჭვიანობენ და მიმართავენ არაპირდაპირ აგრესიას, მაგ: განკითხვა ან სოციალური ჯგუფიდან წევრების გარიყვა, ჭორების გავრცელება. გოგონები უფრო მეტად აძლევენ გასაქანს ემოციებს. ბიჭები კი ძალაუფლების მოპოვებას ანიჭებენ უპირატესობას.

ზოგი მეცნიერი (Lorenz, 1966) მიიჩნევს, რომ აგრესია თვითგადარჩენის ინსტინქტია. მაგალითად ცხოველი, რომელიც თავის ბუნაგს იცავს, მეტად გადარჩება, ვიდრე ის ცხოველი, რომელიც გარბის ან იმალება.

განსხვავებული მოსაზრება აქვთ სხვა მეცნიერებს მაკდუგალსა და დოლარდს (McDaugall, 1907; Dollard, 1939). ისინი ფიქრობენ, რომ აგრესია ჩნდება მაშინ, როცა მოთხოვნილების დაკმაყოფილების გზაზე პიროვნება აწყდება წინააღმდეგობას.

მოზარდებში ჩატარებულმა კვლევამ, თუ რა იწვევდა მათში აგრესიას, აღმოჩნდა, რომ ყველაზე ხშირად ბრალს იწვევს ფრუსტრაცია, სიტუაცია, რომელიც მათ აშფოთებთ.

კვლევებმა აჩვენა, რომ აგრესიული ბავშვები გამოირჩევიან ემოციურობით. ისინი მიიჩნევენ, რომ მთელი სამყარო მათ წინააღმდეგაა მიმართული. ასევე, აგრესია შესაძლოა, ტემპერამენტითაც იყოს გამოწვეული (მიიჩნევა, რომ ქოლერიკები მეტად

არიან მიდრეკილი აგრესიისკენ). ეს ის არასრული შეფასებაა აგრესიის მიზეზებისა, რომელთა უკანაც ბევრი ფარული ფაქტორი არსებობს და მათ შესახებ მიმდინარეობს მუდმივი კვლევა-ძიება.

ბავშვებში აგრესიის გამომწვევი შესაძლო მიზეზები:

- 1) კლასელებს შორის აგრესია შეიძლება გამოიწვიოს სპეციფიკურმა ქცევებმა, მაგ: ხმამაღალმა საუბარმა, სიცილმა, დემონსტაციულმა ქცევებმა, რაც თანაკლასელებისთვის აღიქმებოდეს, როგორც შეუსაბამო ქცევა.
- 2) გულგრილობა მშობლების მხრიდან ბავშვებს უყალიბებს ისეთ წარმოდგენას, თითქოს გარემომცველი სამყარო მტრული და აგრესიულია მათ მიმართ, აქედან გამომდინარე, გარშემომყოფთა ქცევაზე მათი რეაქცია აგრესიულ ხასიათს ატარებს.
- 3) მშობლების დაუსრულებელი კონფლიქტის ყურება ბავშვის ფსიქიკაზე ცუდ გავლენას ახდენს. ასეთ დროს მშობლები შვილს ერთმანეთის წინააღმდეგ ბრძოლის იარაღად იყენებენ. ხშირად ასეთი მოზარდები ოჯახში დაგროვილ აგრესიას უცხო ადამიანთან ავლენენ.
- 4) ბავშვის აგრესიულ რეაქციებს შესაძლოა იწვევდეს მისი ქცევის არაკორექტული და უტაქტო კრიტიკა, დამამცირებელი, შეურაცხმყოფელი შენიშვნები, განსაკუთრებით მაშინ თუ ის უცხო ადამიანების თანდასწრებით იღებს. ასეთი დამოკიდებულება ბავშვებში აგრესიულობის მიზეზი ხდება და ამასთანავე შეიძლება გაუჩნდეს საკუთარ თავში და ძალებში დაურწმუნებლობა.
- 5) გვხვდებიან მშობლები რომლებიც ცდილობენ მართონ საკუთარი შვილი, დათრგუნონ მისი ნებელობა, არ დაუშვან შვილის პირადი ინიციატივის გამოვლენა, არ მისცენ მას შესაძლებლობა იყოს ის, რაც არის. ასეთი აღზრდის შედეგი, როგორც წესი არის გარშემომყოფებზე მიმართული „დაჩაგრული“ ბავშვის აგრესიული ქცევა. შესაძლოა თანაკლასელების მხრიდან დაცინვის

ობიექტიც კი გახდეს ასეთი მოზარდი მაგ: დედა არ გიშვებს? მშობლებს ჰკითხე რომ მოდიხარ? ბავშვი ცდილობს დაიცვას თავი და თავდაცვის ფორმად თავდასხმას ირჩევს. თავს იცავს მაშინაც კი, როცა არავინ არც კი ფიქრობს მასზე თავდასხმას.

- 6) მშობლების მხრიდან ყურადღების სიჭარბე და გადამეტებული ყურადღება ხშირად უარყოფითად მოქმედებს მოზარდებზე. მათ უჩნდებათ განცდა, რომ განსაკუთრებულები არიან და ნებისმიერი წინააღმდეგობის წინაშე აგრესიულები ხდებიან, ისინი არ არიან ჩვეულნი უარის მიღებას, რაც იწვევს კონფლიქტს.
- 7) ბავშვებში აგრესიულობის ხელშემწყობი ფაქტორია ასევე ძალადობრივი გადაცემების და ფილმების ყურება, აგრესიის მატარებელი კომპიუტერული თამაშები, რაც მისთვის აღიქმება როგორც ქცევის ნორმა, ამ დროს სერიოზულად მახინჯდება მისი ფსიქიკა. ასეთი სახის გადაცემები და ფილმები უარყოფითად მოქმედებს სუსტი ნერვული სისტემის მქონე ბავშვებზე, ისინი ადვილად ექვემდებარებიან შთაგონებას და ბამავენ თავის „სუპერ-გმირს“.

თავი II

ბულინგი

ბულინგის არსი

ბულინგის შესახებ აკადემიურ წრეებში საუბარი მე-20 საუკუნის 70-იან წლებში იწყება. თუმცა პედაგოგები და განათლების სისტემის ორგანოები ნაკლებ ყურადღებას უთმობდნენ ბავშვთა სისასტიკის გამოვლენის შემთხვევებს. მდგომარეობა შეიცვალა ტატუმის, ლეინის, როლანდის და მუნტეს (Rolland&Munte,1989; Tattum&Lane,1988) მიერ გამოცემული შრომების შემდეგ .

„ჰეინემანა (Heinemann, 1973) გამოაქვეყნა კვლევა, სადაც აღწერილი იყო ადამიანთა ჯგუფის თავდასხმა ერთ ადამიანზე და ამ ფაქტის აღსანიშნავად გამოიყენა ტერმინი – მობინგი (mobbing). ოლვეუსი (Olweus, 1978) თავის შრომებში იყენებს ტერმინს – ბულინგი (bulling), რომელიც განმარტებულია როგორც ადამიანის ჯგუფის ან ცალკეული ადამიანის თავდასხმა მეორე ადამიანზე. პიკასის (Pikas, 1989) აზრით, ეს ართულებს სიტუაციას, ამიტომ ის ხმარობს ტერმინს – მობინგი, ჯგუფური თავდასხმის აღსანიშნავად, ხოლო ბულინგს, ნებისმიერი ხასიათის (როგორც ინდივიდუალური, ასევე ჯგუფური) თავდასხმის აღსანიშნავად. (“სკოლებში ბულინგის პრევენცია და ტოლერანტული კულტურის განვითარების ხელშეწყობა”, 2016:13)

ბულინგის, როგორც აგრესიული ქცევის სუბკატეგორიის (Solberg, Olweus&Endersen, 2007) და ოლვეუსის (1995) შესწავლისას მეცნიერები ამ დეფინიციას მიმართავდნენ: „ბულინგი აღნიშნავს ნეგატიურ ქმედებებს, რომელსაც მოსწავლე განმეორებითად და ხანგრძლივი დროის განმავლობაში განიცდის. ეს ნეგატიური ქმედებები ერთი ან რამდენიმე პირისგან შეიძლება მომდინარეობდეს და შეიცავდეს ფიზიკურ თავდასხმებს, ვერბალურ თავდასხმებს, ბინძურ ჟესტებს, სექსუალურ ძალადობას, მიზანმიმართულ გარიყვას ჯგუფიდან და კიბერ თავდასხმებს“.

ბულინგი სოციალური სისტემაა, რომელშიც ჩართულია მოძალადე, მსხვერპლი და დამკვირვებელი, ამ განმარტებას გვთავაზობს როლანდი (Roland,1989). ავტორის აზრით, ამ სისტემაში ყველა მონაწილეს აქვს საკუთარი შეხედულება მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით. კელი (Kelly,1990) ყურადღებას ამახვილებს ბულინგის მოწმის პოზიციაზე. დადგენილია, რომ მათი თვითშეფასება მნიშვნელოვნად ქვეითდება, უჩნდებათ საკუთარი უსუსურობის განცდა. მათი პოზიციაა - “კარგია, რომ მე არ დავზარალდი”.

ოლვეუსი (1995) აყალიბებს გარკვეულ კრიტერიუმებს, რაც ბულინგისთვის არის დამახასიათებელი. პირველ რიგში, ეს არის ძალთა თანაფარდობის არარსებობა მოძალადესა და მსხვერპლს შორის. მკვლევრები ბულინგს განასხვავებენ მასობრივი აგრესიისგან, რადგან ბულინგის შემთხვევაში ქცევა არის ნეგატიური და აგრესიული, განმეორებადი და მიზანმიმართული აქტივობა.

მოკლედ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბულინგი იგივე ჩაგვრა, აბუჩად აგდება არის ადამიანებს შორის არასასურველი, აგრესიული ქცევა, ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ძალადობის, აგრესიის, ნეგატიური ქცევის ხანგრძლივი გამოხატულება, რომელიც ხორციელდება მოზარდის/ბავშვის მიმართ მოზარდთა დაჯგუფების მიერ, დამცირების, დამორჩილების, დაშინების მიზნით. რომელშიც ჩართული არიან როგორც ბიჭები, ასევე გოგონები. იმისათვის, რომ ქცევა ბულინგად მივიჩნიოთ, უნდა შედგებოდეს შემდეგი კომპონენტებისგან:

- განმეორება - ბულინგი არის განმეორებადი, ან შეიძლება გარკვეული დროის შემდეგ განმეორდეს. ერთჯერადად განხორციელებული ჩაგვრა ძალადობაა. სწორედ ამით განსხვავდება ბულინგი ძალადობისგან.
- ძალთა უთანასწორობა - ბულინგის განმახორციელებელი მოზარდები იყენებენ ფიზიკურ ძალას, რათა მსხვერპლი დააშინონ, ზიანი მიაყენონ. დაუმტკიცონ საკუთარი უპირატესობა.
- მიზანმიმართულობა - ბულინგის გამტარებელი აცნობიერებს საკუთარი ქცევის უარყოფით მხარეებს, თუ რა შედეგი მოყვება ჩაგვრას და დაცინვას. იგი შეგნებულად, სპეციალურად აყენებს ტკივილს მსხვერპლს, რათა ზიანი მიაყენოს.

ბულინგის ტიპები

მკვლევრები, გამოყოფენ ბულინგის სამ ძირითად ფორმას: ფიზიკური ბულინგი, ვერბალური ბულინგი და რელაციონალური ბულინგი (Scheithauer, Petermann&Jugert, 2006) ავტორების აზრით, ფიზიკური ბულინგის შემთხვევაში აგრესია მოიცავს ხელის კვრას, ცემას, შეჯანჯღარებას და ა.შ. ფიზიკური ბულინგი დიდი ხნის განმავლობაში გრძელდება და სპეციფიური მსხვერპლის წინააღმდეგაა მიმართული. რაც შეეხება ვერბალურ ბულინგს ის მოიცავს ისეთ ფორმებს, როგორცაა მუქარა, შეურაცხყოფის მიყენება, სახელის შერქმევა, ლანძღვა და ა.შ. რელაციონალური ბულინგი წარმოადგენს ირიბ და სოციალურ აგრესიას (Coyne, Archer&Eslea, 2006). ეს ფორმა მოიცავს ერთი ინდივიდის მიერ მეორეს დაზიანების, დასუსტების გზით მსხვერპლის განადგურებას. შესაძლებელია ეს იყოს: ჭორების გავრცელება, რათა მსხვერპლი არასასურველი და მიუღებელი გახდეს და სოციალურად იზოლირდეს. (Scheithauer et al., 2006).

ვერბალური ბულინგი სიტყვიერი ან წერილობითი ფორმით გამოიხატება და გულისხმობს შემდეგს:

- გამოჯავრება/დაცინვა
- ზედმეტსახელების დარქმევა/დაძახება
- შეუფერებელი/გარყვნილი სექსუალური შინაარსის კომენტარები
- მუქარა, ლანძღვა, შეურაცხყოფის მიყენება

ფიზიკური ბულინგი - მსხვერპლის სხეულის ან/და საკუთრების დაზიანება. მოიცავს:

- წიხლის კვრა, ხელის წამორტყმა
- შეფურთხება
- ხელისკვრა

- შეურაცხმყოფელი ჟესტების ჩვენება
- სხვისი ნივთების უნებართვოდ აღება ან/და გატეხვა

რელაციონალური ანუ სოციალური ბულინგი, მოიხსენიებენ როგორც ურთიერთობის ბულინგს, რომელიც მიმართულია სხვების რეპუტაციის ან/და ურთიერთობების დაზიანებისკენ. იგი მოიცავს:

- მეგობრობაზე უარის თქმას
- ჭორების გავრცელებას
- ადამიანის საჯაროდ შერცხვენას
- სხვების უმიზეზოდ მიტოვებას/უგულვებელყოფას

კიბერბულინგი

ციფრულმა ტექნოლოგიებმა შეცვალა და ამასთანავე ნაწილობრივ გააიოლა ადამიანებს შორის ურთიერთობა. მოზარდების წრეში ძალიან აქტუალურია ონლაინ ურთიერთობები, მათ სურთ როგორც ვირტუალურ, ასევე რეალურ სამყაროშიც ჰყავდეთ ბევრი მეგობარი. მაგრამ, ხშირად ონლაინ კომუნიკაციისას დადებითი ურთიერთობები არ ყალიბდება. აქ შეიძლება ხშირი იყოს ბულინგის შემთხვევები, თუმცა რეალურ ურთიერთობებშიც ხშირია ბულინგი. განსაკუთრებით, ბოლო დროს მსოფლიო პანდემიის ფონზე, როცა კომუნიკაცია სრულად გადასულია ონლაინ კომუნიკაციაზე, მეტად აქტუალური გახდა კიბერბულინგის თემა.

კიბერბულინგი ბულინგის ერთ-ერთი სახეა - ბოლო წლების კვლევების აღმოჩენა (Katzner, Fechthauer & Belschak, 2009), რომელსაც ვხვდებით ონლაინ/ინტერნეტ სივრცეში, რაც გულისხმობს ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით, აშკარა ან ფარულ დაშინების/დამცირების მიზნით განხორციელებულ ქმედებას. კიბერბულინგის განვითარება სოციალური ქსელების გააქტიურებასთან ერთად უფრო მასშტაბურ ხასიათს იძენს. მასში მოიაზრება:

- ვირტუალურ სივრცეში მუქარა ან/და ტერორი

- უხამსი/სექსუალური ჭორების გავრცელება
- სოციალურ ქსელში შეურაცხყოფელი ფოტოების ან ვიდეოების განთავსება
- დამცინავი/შეურაცხყოფელი კომენტარების გაკეთება
- მავნე ან/და უხამსი მოკლექსტური შეტყობინებების გაგზავნა
- სხვისი სახელით სოციალურ ქსელში გვერდებისა და ანგარიშების შექმნა
- პირადი ცხოვრების კადრების გასაჯაროება და ამით შანტაჟი

მიიჩნევა, რომ ძალადობრივი ქცევა ხასიათის თავისებურებებთან არის დაკავშირებული. კიბერბულინგის, და ზოგადად ბულინგის გამტარებელი, ხშირად გაუწონასწორებელი, აგრესიული, ანტისოციალური, რისკიანი ქცევისკენ მიდრეკილი, უგულისხმო ადამიანია, რომელსაც ემპათიის გრძნობა არ გააჩნია.

კიბერბულინგს ბევრად განაპირობებს ინტერნეტკომუნიკაციის თავისებურება. მაგალითად, დროში შეუზღუდაობა, რაც გულისხმობს იმას, რომ ყველა მსურველს შეუძლია ნებისმიერ დროს გამოიყენოს ონლაინ პლატფორმა მისთვის სასურველი ოპერაციის შესასრულებლად.

მულტიმედიურობა - ინტერნეტში ხელმისაწვდომია მრავალფეროვანი პროგრამები, აუდიო და ვიდეო მასალები, გრაფიკული გამოსახულებები, მათი გაგზავნა ან სოციალურ ქსელში ატვირთვა ნებისმიერ მსურველს შეუძლია.

ანონიმურობა - ინტერნეტ სივრცეში შესაძლებელია ნამდვილი ვინაობის დამალვა ან სხვისი სახელის გამოყენება, რაც უფრო მეტ გამბედაობას სძენს ბულერს, ამ შემთხვევაში ის აღარ იღებს პასუხისმგებლობას საკუთარ საქციელსა და ქცევაზე.

ინტერნეტში ურთიერთობები გაშუალებული ხასიათისაა, აქ ვერ ხერხდება პირისპირ კონტაქტი, მოსაუბრე ვერ ხედავს მეორე მოსაუბრის ჟესტებს, მიმიკებს, იმას თუ რა ტონით საუბრობს, რაც ამცირებს დაპირისპირებული მხარისადმი თანაგრძნობის უნარს.

ხშირად ინტერნეტის მეშვეობით ვურთიერთობთ ადამიანებთან, ვისაც რეალურად ვიცნობთ. ამიტომ ბულინგი შეიძლება ინტერნეტში დაიწყოს და სკოლაში

გაგრძელდეს, ან პირიქით. აქვე აღვნიშნოთ, რომ ონლაინ სივრცეში ბულინგის გამტარებელი ადამიანი შეიძლება უფრო ნაკლებად გრძნობდეს პასუხისმგებლობას და სირცხვილს ანონიმურობის წყალობით.

მოძალადის ტიპი ონლაინ და რეალურ სამყაროში შეიძლება განსხვავებული იყოს. გაშუალებული ურთიერთობის დროს ბუღერი ვერ ხედავს მსხვერპლს, მხოლოდ საკუთარ თავზეა კონცენტრირებული, სხვების გრძნობებსა და განცდებზე ნაკლებად ფიქრობს, რაც ზრდის აგრესიას და მსხვერპლის დამცირების შანსს. კიბერსივრცეში შესაძლოა ფიზიკურად სუსტი ადამიანიც იქცეს ბუღერად, მაგალითად, ვინც თავადაც ყოფილა ბულინგის მსხვერპლი, რეალურ ცხოვრებაში არ ჰყოფნის ძალა და გამბედაობა გაუმკლავდეს აგრესიას. აქ კი ვერავინ ხედავს და შეუძლია ანგარიში ფარული ჩაგვრით გაუსწოროს. ასეთი ადამიანი შეიძლება რეალურ ცხოვრებაში სრულიად გაწონასწორებული და მშვიდი იყოს, კარგი რეპუტაციის, სასიამოვნო შთაბეჭდილებასაც კი ტოვებდეს.

კიბერბულინგის შედეგები შესაძლოა ძალიან მძიმე აღმოჩნდეს იმის გამო, რომ რთულია პიროვნების იდენტიფიცირება და ასევე პრობლემას ქმნის ისიც, რომ ინტერნეტში ინფორმაცია დიდი ხნით ინახება. რაც უფრო დიდი ხნით რჩება ნებისმიერი სახის არასასურველი ინფორმაცია, მით უფრო მძიმე სტრესის მომტანია მსხვერპლისთვის. ამას ისიც ემატება, რომ მოზარდები, ხშირად მაღავენ მათზე განხორციელებულ ჩაგვრას, რადგან ჰგონიათ, რომ უფროსები ვერ ერკვევიან ინტერნეტის სფეროში და ვერ დაეხმარებიან მათ.

არსებობს კიბერბულინგის რამდენიმე ფორმა, მაგალითად: დახურული ჯგუფიდან განდევნა, რაც მსხვერპლს გარიყულად, არასასურველ ადამიანად აგრძნობინებს თავს. ამ დროს ის ფიქრობს, რომ მის ზურგს უკან დასცინიან ან განიკითხავენ მას. ჯგუფიდან განდევნის იდეა შეიძლება ერთ ადამიანს ეკუთვნოდეს და დანარჩენები მხარს უზამდნენ, ან მთელი ჯგუფის აზრიც შეიძლება იყოს.

კიბერბულინგის ერთ-ერთი სახეა შევიწროება, შანტაჟი. მსგავსი ქმედება გრძელდება ხანგრძლივად, მიზანმიმართულად, რაც მსხვერპლს აიძულებს

მუდმივად სტრესში და შიშის ქვეშ ყოფნას, რამაც შესაძლოა შემდგომში გამოიწვიოს დაბალი თვითშეფასება, ფსიქოლოგიური გაუწონასწორებლობა.

კიბერბულინგის შემდეგი ფორმაა ე.წ. „გამოაშკარავება“, სხვისი პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების, რაიმე სახის პირადი ინფორმაციის გავრცელება, ან სხვისი წერილების წაკითხვა და შემდეგ გასაჯაროება. ბულინგის ამ ფორმას შესაძლოა სხვადასხვანაირი შედეგი მოჰყვეს, გამომდინარე მასშტაბებიდან.

კიბერბულინგის კიდევ ერთი ფორმაა სხვისი პირადი გვერდის გამოყენება, მაგალითად წერილების დასაგზავნად, ან არასასურველი ფოტოების გამოსაქვეყნებლად. ხშირად ამას ყურადღებას არ აქცევენ და უბრალო გართობად მიიჩნევენ, თუმცა შესაძლოა სერიოზული ზიანი მიადგეს ადამიანის რეპუტაციას.

კიბერბულინგის შედეგები განსხვავებულია თითოეული მსხვერპლისთვის, გამომდინარე იქიდან, რომ ყველა ბავშვს განსხვავებული ემოციური და ფსიქოლოგიური განვითარება აქვს, მათზე განხორციელებულ ძალადობას სხვადასხვანაირი ქცევით პასუხობენ, ამასთან დაკავშირებული კვლევის პასუხები ასეთია: გამოკითხულ მოზარდთა 60%-მა აღნიშნა, რომ ახდენს ძალადობრივი ქცევის იგნორირებას, ხოლო რესპონდენტთა 40% კი სხვადასხვაგვარად რეაგირებს. მსხვერპლთა რეაგირების ზოგიერთი ფორმა ასეთია: დაპირისპირება მოწინააღმდეგე მხარესთან, ბულერის დაბლოკვა, მასზე განხორციელებული კიბერბულინგის ფაქტის საჯაროდ გამოქვეყნება - სხვების მხარდაჭერის მისაღებად, კონკრეტული საიტისა თუ გვერდის ადმინისტრატორისათვის შეტყობინების გაგზავნა, ფაქტის შესახებ სამართალდამცავი ორგანოების ინფორმირება, საკუთარი გვერდის გაუქმება, პირადი მონაცემების წაშლა (სახელი, გვარი და ა.შ.), იმ გვერდებსა თუ ფორუმებზე შესვლისგან თავის შეკავება, სადაც მოხდა დაპირისპირება.

2010 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით (Cyberbullying Research Center report, 2010) კიბერბულინგის შედეგები ასეთია: რესპონდენტთა 44% განიცდიდა ბრახს, 26% დათრგუნული იყო, განიცდიდა შიშსა და წყენას, გამოკითხულთა 30% კი განაცხადა, რომ აღნიშნულ ქმედებას მათზე ემოციურად არ უმოქმედია.

ელისონ დემპსისა და მისი ჯგუფის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, ბავშვთა ემოციური და ფსიქოლოგიური პრობლემის ერთ-ერთ მიზეზად კიბერბულინგი დასახელდა. მათი აზრით, კიბერბულინგის შედეგები მსხვერპლისთვის შესაძლოა გაცილებით მძიმე აღმოჩნდეს, ვიდრე მიიჩნევენ, მსხვერპლს საგრძნობლად უქვეითდება თვითშეფასების დონე.

კიბერბულინგი უშუალოდ ფიზიკურ ზიანს არ აყენებს მოზარდებს, არამედ სერიოზულ უარყოფით ზეგავლენას ახდენს ადამიანის ემოციურ და ფსიქოლოგიურ განვითარებაზე, ამ დროს ზიანდება არა მხოლოდ მსხვერპლი, არამედ ეს ეხება ასევე მჩაგვრელს. ხშირ შემთხვევაში მჩაგვრელი მსხვერპლზე მეტად საჭიროებს ფსიქოლოგიურ დახმარებას.

ჩაგვრა, დაშინება, შანტაჟი და ძალადობის ნებისმიერი გამოვლინება სერიოზულ უარყოფით კვალს ტოვებს ბავშვის ფსიქოსოციალურ განვითარებაზე. ეს თემა განსაკუთრებით რთულდება მაშინ, როდესაც საქმე ბავშვებს ეხება. უფრო მეტი სიფრთხილე და წინდახედულება მართებს უფროსებს, რადგან არასწორმა მიდგომამ შეიძლება არასწორი შედეგი გამოიწვიოს. პირველ რიგში ამის თავიდან ასაცილებლად საჭიროა პრევენციული ღონისძიებების ჩატარება, მაგალითად: სოციალური ქსელების მომხმარებელ მოზარდებს უნდა ავუხსნათ, თუ როგორ გამოიყენონ ის სწორად და არ აღმოჩნდნენ კიბერბულინგის მსხვერპლი. კერძოდ, ფართო საზოგადოებისთვის არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი მათი პირადი საკონტაქტო ინფორმაცია, ფოტო სურათები, აუდიო და ვიდეო ჩანაწერები. უმჯობესია დაიმეგობრონ მათთვის ნაცნობი ადამიანები. ამასთანავე, სოციალურ ქსელში კომუნიკაციისას მოზარდი უნდა იცავდეს საზოგადოებაში მიღებულ ეთიკის ნორმებს, არ უნდა იყენებდეს სხვების შეურაცხმყოფელ სიტყვებს, თავი შეიკავოს კონფლიქტურ საკითხზე კომენტარის გაკეთებისგან, არ გაავრცელოს ჭორები, არასასურველი პიროვნებისგან თავის დასაცავად შესაძლებელია მომხმარებლის დაბლოკვა, გვერდის შემქნელისთვის წერილის მიწერა, ან ქვეყანაში არსებული ცხელი ხაზის გამოყენება. ბავშვი უნდა იცნობდეს ინტერნეტის „საფრთხეებს“, რათა მარტივად შეძლოს მსგავსი შემთხვევების იდენტიფიცირება და რაც შეიძლება დროულად ითხოვოს უფროსების დახმარება.

კიბერბულინგის არსებობა, პირველ რიგში, მშობლებმა უნდა შეამჩნიონ, ამისთვის საჭიროა ბავშვის ქცევაზე ყურადღების გამახვილება, კერძოდ: მოზარდი სისტემატიურად სარგებლობს კომპიუტერით, ინტერნეტით და უცებ დაანება თავი მის მოხმარებას, ეს შეიძლება მოხერხებით იყოს გამოწვეული ან პრობლემის თავიდან აცილების მიზნით. აქედან გამომდინარე, ფაქტს უნდა მიაქციოს ყურადღება მშობელმა შვილის განწყობიდან გამომდინარე.

შესაძლებელია ითქვას, რომ ფიზიკური და ვერბალური ბულინგი აშკარა და პირდაპირ თავდასხმებს მოიცავს, რაც ხშირ შემთხვევაში მარტივად შესამჩნევია, თუმცა სოციალური ბულინგის ფორმა გარე დამკვირვებლისთვის ნაკლებად არის აღქმადი. ასევე ფარული კიბერბულინგის დროს, როცა ბულერის ვინაობა უცნობია, ძნელია იმის გარკვევა, თუ რა მიზეზით ან რა მიზნით იქცევა ასე. სწორედ, ამიტომ ბულინგის ეს ფორმები განსაკუთრებულ დაკვირვებას საჭიროებს.

ბულინგში მონაწილე პირები

ბულინგის, როგორც სოციალური მოვლენის აღწერისას მკვლევრები განსაზღვრავენ ბულინგში მონაწილე პერსონების სახეებს. მკვლევრები (Salmivalli, Lagerspetz, Bjorkqvist, Osterman&Kaukiainen, 1996) გვთავაზობენ როლების განაწილების სქემას.

არსებობს ბულინგში ჩართული პირდაპირი და ირიბი მხარეები:

პირდაპირი მხარე:

- ბავშვი, რომელიც ახორციელებს ბულინგის ქცევას.
- ბავშვი, რომლის მიმართაც ხორციელდება ბულინგი.

ირიბი მხარე:

- ბავშვი, რომელიც ეხმარება ბულინგის განმახორციელებელს.
- ბავშვი, რომელიც განამტკიცებს ბულინგის განმახორციელებლის ქცევას.

□ თამაშგარე მდგომი ბავშვი ე.წ. აუტსაიდერი

□ ბავშვი, რომელიც იცავს მას ვის წინააღმდეგაც ხორციელდება ბულინგი.

ბავშვი, რომელიც ახორციელებს ბულინგს - ასეთი ბავშვები არიან ბულინგის წამომწყებნი, ინიციატორები. მათ ხშირად დახმარება და მხარდაჭერა სჭირდებათ თავიანთი არასასურველი ქცევის შესაცვლელად. შესაძლოა არსებობდეს ფაქტორები, რომლებიც მათ უბიძგებს აგრესიული ქცევისკენ.

ბავშვი, რომლის მიმართაც ხორციელდება ბულინგი - ეს ბავშვები ბულინგის სამიზნეები არიან, რაც ხელს უწყობს მათი ბულინგის მსხვერპლად გახდომის ალბათობას. ხანდახან მოზარდებს სჭირდებათ მხარდაჭერა იმის გასაგებად, თუ როგორ მოიქცნენ მათ მიმართ განხორციელებული ბულინგის შემთხვევაში.

ბავშვი, რომელიც ეხმარება - ეს ბავშვები დახმარებას უწევენ ბულინგის განმახორციელებელს, მათი საქციელით ხელს უწყობენ/აქეზებენ/ახალისებენ აგრესორს ან შესაძლოა შეუერთდნენ კიდევ მათ.

ბავშვი, რომელიც ქცევას განამტკიცებს - მართალია, ეს ბავშვები პირდაპირ არ არიან ჩართულნი ბულინგის განხორციელებაში, მაგრამ ისინი ბულინგის წამომწყებს ერთგვარ მაყურებელთა წრეს უქმნიან, რაც ხელს უწყობს ბულინგის გაგრძელებას.

აუტსაიდერი - ეს ბავშვები არ ერთვებიან ბულინგის მიმდინარეობაში. ისინი არც მსხვერპლის და არც ინიციატორის მხარეს იჭერენ. ისინი უბრალოდ თვალყურს ადევნებენ სიტუაციას და არ აფიქსირებენ საკუთარ მოსაზრებას, მაგრამ იქ ყოფნითა და აუდიტორიის შექმნით წაახალისებენ ბულინგის წამომწყებს. ხშირად მათ სურთ დაეხმარონ მსხვერპლს, მაგრამ არ იციან როგორ. საჭიროა, მათ ბულინგის შესახებ მეტი იცოდნენ, რათა შემდგომში მხოლოდ მაყურებლობით არ შემოიფარგლონ და დახმარება გაუწიონ მათ.

ბავშვი, რომელიც იცავს მსხვერპლს - ეს ბავშვები აქტიურად იცავენ ბავშვებს, ვის წინააღმდეგაც ხორციელდება ბულინგი.

სოციალიალურ-ფსიქოლოგიურ კვლევებში ნაკვლევი არის საკითხი, თუ რატომ არ ერევიან ბულინგისა და მობინგის დროს ადამიანები და რატომ არ ცდილობენ აგრესიის შეჩერებასა და სიტუაციის გამოსწორებას.

ბულინგში მონაწილე პირებად ითვლებიან ასევე უფროსები, რომლებსაც გულგრილი დამოკიდებულება აქვთ ბულინგის მიმართ და ხშირად პროვოცირებასაც თავად ახდენენ. მშობელი, რომელიც ხედავს შვილი როგორ ჩაგრავს სხვას, შესაბამისად არ რეაგირებს, პირიქით, აქარწყლებს დანაშაულის სიმძიმეს და ბავშვურ ცელქობად თვლის შვილის საქციელს, აქეზებს ბულინგისკენ. თავის მხრივ, ბულერიც ფიქრობს, რომ ცუდს არაფერს აკეთებს და არც არავინ დასჯის. ან და პირიქით მშობელი შვილის მონათხრობს, ბულინგის შესახებ სერიოზულად არ აღიქვამს, საყვედურობს კიდევ თუ როგორ ვერ დაიცვა თავი, შვილს ტოვებს დათრგუნულ მდგომარეობაში. ასეთი დამოკიდებულება თავის შედეგს იღებს - ბავშვი აღარ საუბრობს პრობლემაზე, რაც უფრო და უფრო მძიმდება და ძალადობის ნორმალიზებას იწვევს.

ბულინგის მსხვერპლად გახდომის საფრთხის წინაშე მდგომი ბავშვები

- ისინი აღიქმებიან თანატოლებისგან განსხვავებულად, მაგალითად სათვალის ტარების, ჭარბი წონის, ჩაცმის სტილის გამო. ბულინგის მსხვერპლად გახდომის საფრთხეს წარმოადგეს სკოლაში ახალი გადასული ბავშვი, რომელიც ჯერ კარგად არ არის კლასთან ადაპტირებული.
- ისინი აღიქმებიან სუსტებად, რომლებსაც თავის დაცვა არ შეუძლიათ.
- ისინი დეპრესიული, დაბალი თვითშეფასების მქონენი არიან.
- ნაკლები მეგობარი ჰყავს, ვიდრე სხვებს, არიან ნაკლებად პოპულარულნი.
- ვერ ახერხებენ სხვებთან პოზიტიური ურთიერთობის დამყარებას, აღიქმებიან მომაბეზრებლად.

საქართველოში ჩატარებული კვლევების მიხედვით ბულინგის მიზეზებია:

- მოზარდის დაცინვა ნაკლებად პრესტიჟულ უბანში ცხოვრების გამო
- დამცირება რელიგიური აღმსარებლობის ან/და ეროვნების გამო
- ჩაცმულობის, აქსესუარების ტარების ან გარეგნობის გამო
- დამცირება აკადემიური მოსწრების გამო
- მოზარდთა დამცირება შეზღუდული შესაძლებლობების გამო

აღნიშნული მიზეზები მიგვანიშნებს, რომ ბულინგის მსხვერპლად გახდომის რისკფაქტორები განსხვავებულობასთან არის დაკავშირებული. მხოლოდ ერთი მიზეზი არ განაპირობებს ბულინგის მსხვერპლად გახდომას, ის მიზეზთა ერთობლიობის შედეგია. აქვე უნდა ვთქვათ, რომ ეს მიზეზები აუცილებლად ბულინგის მსხვერპლად გახდომას არ გულისხმობს.

ბულინგის განმახორციელებელი ბავშვები - ბულერები

ე.წ. ბულერი ბავშვები ყოველთვის ამჯობინებენ კონფლიქტის, ან/და რაიმე სახის პრობლემის ფიზიკური ძალით, ფსიქოლოგიური ზეწოლით მოგვარებას. ბულინგის გამტარებლებს ხშირად კარგი კავშირები აქვთ თანატოლებთან, აქვთ სოციალური მხარდაჭერა, პოპულარულები არიან და მოსწონთ ეს სტატუსი. ისინი თავაწეულნი დადიან სკოლაში, ქუჩაში და ყველგან სადაც კი იცნობენ, სიამოვნებთ მათი უპირატესობის დემონსტრირება. მათ ძირითადად ახასიათებთ საკუთარ თავზე გადაჭარბებულად კარგი წარმოდგენა, მჭერმეტყველება, სხვებზე გავლენის მოხდენისა და შემდეგ მათი გამოყენების უნარი. მათ ჰყავთ თანამოაზრეები, ვისთან ერთადაც ირჩევენ „მსხვერპლს“. ბულერები შეიძლება წარსულში თვითონ იყვნენ ბულინგის მსხვერპლნი სკოლაში, ეზოში ან ოჯახში. ასეთი ბავშვები ბულერების მეორე ტიპს მიეკუთვნებიან, რომლებსაც ამცირებენ და დათრგუნულ ემოციებს თანატოლებთან აგრესიით, ჩაგვრით და ზიანის მიყენებით გამოხატავენ.

იარლიყების თავიდან არიდების მნიშვნელობა

როდესაც ვსაუბრობთ ბულინგზე, იგივე ჩაგვრასა და დამცირებაზე, მარტივია მოზარდს, რომელიც ახორციელებს ბულინგს ვუწოდოთ „ბულერი“, ხოლო ვის მიმართაც ხორციელდება აგრესიული ქცევა - „მსხვერპლი“. მსგავსი იარლიყების მიკვრას შეიძლება გაუაზრებელი, ორივე მხარისთვის საზიანო შედეგები მოჰყვეს. ამით შეიძლება ნეგატიური შედეგები მივიღოთ, კერძოდ:

- o შესაძლოა ბავშვებმა მიიჩნიონ, რომ ერთხელ მიკერებული იარლიყი (ბულერი ან მსხვერპლი) აღარ შეიცვლება და მას ეს სამუდამოდ დარჩება.
- o იარლიყების არსებობის შემთხვევაში შეიძლება ვერ შევძლოთ ბავშვის საქციელის სწორი იდენტიფიცირება (მაგ: შესაძლოა, ზოგჯერ ბულერის როლში მოგვევლინოს, ზოგჯერ კი პირიქით - მსხვერპლის)
- o იარლიყებმა შესაძლოა ხელიც კი შეგვიშალოს ისეთი შემთხვევის დროს, როგორც არის სხვების ზეგავლენით, წაქეზებით ან/და კარნახით ჩადენილი ბულინგის ამოცნობისას.

მოზარდებზე იარლიყების მიკვრის ნაცვლად, სასურველია, აქცენტი ბავშვის საქციელზე გაკეთდეს და არა მის პიროვნებაზე. მაგალითად: მოზარდისთვის ბულერის დაძახების ნაცვლად, ვუწოდოთ „პიროვნება, რომელმაც განახორციელა ბულინგის ქცევა“, ასევე, ნაცვლად მსხვერპლად მოხსენიებისა, ვუწოდოთ „ ბავშვი, რომლის მიმართაც განხორციელდა ბულინგი“.

ასეთი მიდგომით ბავშვს მივუთითებთ, რომ არასასურველია მისი კონკრეტული ქცევა და არა პიროვნება. მნიშვნელოვანია სკოლაში მომუშავე ყველა პირის მიერ იმის გააზრება, რომ პიროვნებაზე მიკრული იარლიყი ძნელად იცვლება, ხოლო არასასურველი/არასწორი ქცევის შეცვლა სწორი მიდგომის პირობებში შესაძლებელია.

როგორ ამოვიცნოთ ბულინგი?

არსებობს ნიშნები იმისა, რაც გვამცნობს, რომ საქმე გვაქვს ბულინგის შემთხვევასთან ან მოსალოდნელი ბულინგის საფრთხესთან. ძალიან მნიშვნელოვანია ამ ნიშნებზე დაკვირვება, რაც ფაქტობრივად ბულინგის აღმოფხვრის პირველი

ნაბიჯია, რადგან ბავშვების უმრავლესობა, რომლებიც ბულინგში არიან ჩართულნი, დახმარებისთვის იშვიათად, ან საერთოდ არ მიმართავენ სხვას. სასურველია და ძალზედ მნიშვნელოვანი იმ ბავშვებთან საუბარი, რომლებიც ნებისმიერი ფორმით ჩართულნი არიან ბულინგში. მათთან გულწრფელი და გულისხმიერი საუბრის მეშვეობით შესაძლებელია არსებული პრობლემის მიზეზების გამოვლენა.

ბულინგის მსხვერპლი ბავშვები ხშირად ადვილი ამოსაცნობია, ისინი მუდამ დათრგუნულები და გაღიზიანებულები არიან, დაქვეითებული აქვთ მოტივაცია, არ უნდათ სკოლაში სიარული, რის გამოც იგონებენ სხვადასხვა მიზეზებს. უარესდება მათი აკადემიური მოსწრება. სკოლაში ყოფნისას სხედან იზოლირებულად, არ ერთვებიან კლასის დისკუსიებში, სპორტის გაკვეთილზე მიმდინარე აქტივობებში. მათ ურჩევნიათ უფროსებთან ურთიერთობა, ვიდრე თანატოლებთან. ამასთანავე თანაკლასელები არ რთავენ ჯგუფურ აქტივობებში, ან კლასის საერთო გადაწყვეტილების მიღებისას არ ითვალისწინებენ მის აზრს. ბულინგის მსხვერპლი ბავშვი ამ დროს ან მწვავედ რეაგირებს - ტირის, ან ხუმრობით პასუხობს, თავადაც იცინის, თუმცა რეალურად ძალიან მძიმე ფსიქოლოგიურ ტრავმას განიცდის. ის ასევე ცდილობს ბუღერის „გულის მოგებას“, რათა დაიმსახუროს კეთილგანწყობა და შემდეგში აიცილოს მოსალოდნელი ჩაგვრა. „გულის მოგებაში“ იგულისხმება, რომ ის ასრულებს ბუღერის ნებისმიერ სურვილს მაგალითად: ნივთის გაჩუქება, თანხის მიტანა, სხვების ცემა და დაცინვა, მასწავლებელთან დაპირისპირება, სასაცილო საქციელის ჩადენა.

უპირველესად, მნიშვნელოვანია იმის გაგება, შეიცვალა თუ არა მოზარდის ქცევა ბოლო პერიოდის განმავლობაში. საყურადღებოა ისიც, რომ ხშირად ბულინგის მსხვერპლი ყველა ბავშვი არ ავლენს გამაფრთხილებელ ნიშნებს. ყველაზე ხშირად გავრცელებული ინდიკატორი, რომლებსაც ყურადღება უნდა მივაქციოთ, არის:

- ბავშვს აქვს დაზიანებები, რომელთა წარმომავლობის ახსნაც უჭირს
- ხშირად აქვს დაკარგული ან დაზიანებული ტანსაცმელი, ელექტრონული მოწყობილობები, სასკოლო ნივთები, ან აქსესუარები

- ხშირად ტკივა თავი ან მუცელი, თავს სუსტად გრძნობს ან იგონებს ცუდად ყოფნას სკოლიდან გათავისუფლებისა და მისთვის დამაბულობის მაპროვოცირებელი გარემოდან თავის დაღწევის მიზნით

- შეიცვალა მისი კვებითი ჩვევები, წყვეტს ჭამას ან ზედმეტად ჭარბად მიირთმევს. შესაძლოა სკოლიდან სახლში მშვიერიც კი დაბრუნდეს, იმის გამო, რომ სკოლაში არ ისაძლია, რადგან თავი აარიდა სასადილოში შესვლას და ბულინგის სავარაუდო გამტარებელთან შეხვედრას

- აქვს ძილის პრობლემები: ცუდად სძინავს ან საშინელ სიზმრებს ხედავს

- ბოლო დროს იღებს ცუდ ნიშნებს, დაკარგა სკოლის მიმართ ინტერესი ან საერთოდ არ სურს სკოლაში სიარული

- უეცრად, უმიზეზოდ კარგავს მეგობრებს ან თავს არიდებს სოციალურ სიტუაციებს, როგორცაა ექსკურსიები, კლასის შეკრება, ღონისძიებები და სხვადასხვა მსგავსი აქტივობა

- თავს დაუცველად გრძნობს და უქვეითდება თვითშეფასება

- შესაძლოა, გამოავლინოს თვითდამაზიანებელი ქცევა - სახლიდან გაქცევა, სხეულის დაზიანება, სუიციდზე საუბარი

ყველა ეს ინდიკატორი აუცილებელ დაკვირვებას საჭიროებს, არ შეიძლება მისი უგულვებელყოფა, უფროსების ჩარევით და დახმარების გაწევით შეიძლება თავიდან ავირიდოთ სიტუაციის შესაძლო გართულება.

ნიშნები იმისა, რომ ბავშვი ახორციელებს ბულინგს სხვის მიმართ:

- ხშირად ერთვება ფიზიკურ ან ვერბალურ კამათში

- ჰყავს მეგობრები, რომლებიც ჩაგრავენ სხვებს

- ზედმეტად აგრესიულია

- ხშირად აქვს დისციპლინის დარღვევის პრობლემები, რის გამოც უწევს კონტაქტი დირექტორთან, მანდატურთან და სხვა პასუხისმგებელ პირებთან

- აქვს დამატებითი თანხა ან ნივთები, რომელიც მას არ ეკუთვნოდა თუმცა არ ხსნის, თუ საიდან მოიპოვა
- ადანაშაულებს სხვებს საკუთარ პრობლემებში
- არ იღებს პასუხისმგებლობას საკუთარ ქმედებებზე
- კონკურენტულია და სწუხს საკუთარ რეპუტაციასა და პოპულარულობის შენარჩუნებაზე

ბულინგის გრძელვადიანი შედეგები

ბულინგი გავლენას ახდენს მასში ნებისმიერ ფორმატში ჩართულ მონაწილეზე, მსხვერპლზე, განმახორციელებელსა და თვითმხილველზე. ბულინგს შესაძლოა ძალიან ნეგატიური შედეგები მოჰყვეს, მაგალითად: ფიზიკური ან ფსიქიკური ჯანმრთელობის გაუარესება, სხვადასხვა საზიანო ნივთიერებებზე დამოკიდებულების განვითარება და იშვიათად თვითმკვლელობაც კი. ჩაგვრის/ბულინგის ზემოქმედება შესაძლოა დიდი ხნის განმავლობაში შენარჩუნდეს და შესაბამისად, მისმა შედეგებმა მოგვიანებით იჩინოს თავი. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ამ პრობლემის დროული მოგვარება რათა არ მოჰყვეს გრძელვადიანი შედეგები. სამწუხაროდ, ბულინგის მსხვერპლი ბავშვები დიდი ხნის გასვლის შემდეგაც კი შეიძლება განიცდიდნენ: შფოთვისა და დეპრესიას, სევდისა და მარტოსულობის მომეტებულ განცდას.

ექსტრემალურ შემთხვევაში, ბულინგის მსხვერპლი ბავშვები გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ახორციელებენ აგრესიულ ქცევას. მაგალითად, აშშ-ში სკოლაზე თავდასხმების 15 შემთხვევიდან 12-ში, თავდამსხმელი სწორედ ის მოზარდი იყო, რომლის წინააღმდეგაც წარსულში ბულინგს ახორციელებდნენ. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბულინგი შეიძლება თვითმკვლელობის ერთ-ერთი რისკფაქტორი იყოს, თუმცა უნდა ითქვას, რომ სუიციდის მიზეზები კომპლექსურია და რამდენიმე მიზეზის ურთიერთზემოქმედებასთან არის დაკავშირებული. მაგალითად: პრობლემები ოჯახში, დეპრესიისკენ მიდრეკილება, სხვა მატრავმირებული

ცხოვრებისეული გამოცდილება. მოზარდები, რომლებიც სხვების წინააღმდეგ ახორციელებენ ბულინგს, შესაძლოა სხვა რისკისშემცველ ქცევაშიც ჩაერთონ. მაგალითად:

- მოზარდობაში ან ზრდასრულ ასაკში ალკოჰოლისა და ნარკოტიკული ნივთიერებების გამოყენება
- ძალადობრივ, აგრესიულ მოქმედებებში, ვანდალიზმში ჩართულობა, სკოლიდან გარიცხვა
- წესებისა და რეგულაციების, კანონის დარღვევა
- ძალადობრივი, აგრესიული ქცევის განხორციელება, მათ შორის ოჯახური ძალადობა მეუღლის ან შვილების წინააღმდეგ

ბულინგის თვითმხილველების შემთხვევაში კი მოსალოდნელია:

- თამბაქოსა და ალკოჰოლის, ან სხვა ტიპის ნივთიერებების მოხმარება
- ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები, როგორცაა დეპრესია, შფოთვა
- სკოლის ხშირი გაცდენები

რატომ არ ითხოვენ ბულინგის მსხვერპლი ბავშვები დახმარებას?

ბავშვები უფროსებს იშვიათად მიმართავენ დახმარებისთვის ბულინგის შემთხვევაში, რასაც აქვს გარკვეული მიზეზები: ბავშვებს ეშინიათ უფროსების რეაქციის, ჰგონიათ რომ მათ დაადანაშაულებენ, განსჯიან, ხშირად ფიქრობენ, რომ მარტო არიან და არავის ადარდებს მათი ტკივილი, არავინ მოუგვარებს პრობლემას, არ მოუსმენენ, არ დაიჯერებენ. მათ ეშინიათ ბუღერის, ფიქრობენ რომ ხმას თუ ამოიღებენ და ბულინგის შესახებ მოუყვებიან უფროსებს, ბუღერები აუცილებლად მიმართავენ შურისძიებას. აქედან გამომდინარე, ჩუმად ყოფნას ამჯობინებენ და საკუთარი ძალებით ცდილობენ პრობლემის მოგვარებას.

ქართულ სკოლებში 2017 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით, მოსწავლეებისთვის დასმულ კითხვაზე თუ რატომ არ მიმართეს დახმარებისთვის არავის, მაშინ, როცა ირღვევა მათი უფლებები უფროსების ან თანატოლების მხიდან?

მათი პასუხი ასეთია: აზრი არ აქვს, მაინც არაფერი შეიცვლება - 13.4, ვეცდები თავად მოვაგვარო - 56.4, არ ვენდობი არავის - 7.4, მეშინია, უფლებების დაცვის მოთხოვნის გამო პრობლემები შემექმნება სკოლის თანამშრომლებთან - 8.1, უფლებების დაცვის მოთხოვნის გამო პრობლემები შემექმნება თანატოლებთან - 7.4, სხვა მიზეზები - 6.2, პასუხი არ არის - 24.9.

ბულინგის პრევენცია

ბოსტონის კოლეჯის ფსიქოლოგიის პროფესორი პიტერ გრეი მიიჩნევს, რომ „ბულინგის პრევენცია მოხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ამას თავად მოსწავლეები მოინდომებენ“.[. \(https://naec.ge/uploads/images/doc/SXVA/naec_journall1_2.pdf\)](https://naec.ge/uploads/images/doc/SXVA/naec_journall1_2.pdf) სწორედ ამიტომ სკოლაში მომუშავე პირებსა და მშობლებს მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობა აკისრიათ ბულინგის პრევენციის კუთხით. ბულინგის პრევენციისთვის ძალიან მნიშვნელოვანია შემდეგი საკითხების გათვალისწინება:

- კომუნიკაცია ბულინგში ჩართულ პირებთან ან პოტენციურ მონაწილეებთან
- მოზარდთა ინფორმირება, თუ როგორ მოიქცნენ ბულინგის შემთხვევაში
- ბულინგის შეფასება და მასზე რეაგირება
- უსაფრთხო და მხარდამჭერი გარემოს შექმნა სკოლაში

როგორც აღვნიშნეთ, პირველ რიგში, ბულინგის მსხვერპლი ბავშვის დახმარება იწყება კომუნიკაციით. მასთან გასაუბრებისას კი კომპეტენტურმა პირმა უნდა გაითვალისწინოს შემდეგი: ყურადღებით მოუსმინოს ბავშვს და აჩვენოს, რომ მზად არის დახმარებისთვის, დათრგუნული მოსწავლე დაარწმუნოს, რომ მომხდარი მისი ბრალი არ არის, ბულინგის მსხვერპლ მოზარდს ძალიან უჭირს მომხდარის შესახებ საუბარი, ამიტომ უპრიანი იქნება მისი ფსიქოლოგთან ან სხვა მისი მდგომარეობისთვის შესაბამის სპეციალისტთან გადამისამართება. მნიშვნელოვანია ბავშვის მოსაზრების მოსმენაც, თუ რა დაეხმარებოდა მას, უფრო უსაფრთხოდ რომ იგრძნოს თავი. ბულინგის პრობლემა მცირე დროში, ერთი გასაუბრებით ვერ მოგვარდება, ამისთვის მნიშვნელოვანია ინტენსიური კომუნიკაცია მშობლებთან.

ხშირად პრობლემის გადაჭრას არასწორი მიდგომით ცდილობენ, რაც აჭიანურებს ან აუარესებს არსებულ მიდგომარეობას, მაგალითად: ბავშვებს ურჩევენ ბულინგის იგნორირებას, ადანაშაულებენ მომხდარში, მოზარდებს ეუბნებიან - მაგ: მშობლები - ფიზიკურად გაუსწორდნენ მათ, ვინც დაჩაგრა. არასწორმა კომუნიკაციამ შეიძლება მწვავე კონფლიქტამდე მიგვიყვანოს, შეიძლება ფატალურ შემთხვევამდეც კი.

ე. წ. მჩაგვრელთან კომუნიკაციისას გასათვალისწინებელია შემდეგი რჩევები: პირველ რიგში უნდა გაირკვეს, ბავშვმა, რომელიც ბულინგს ახორციელებს, იცის თუ არა, რომ მისი ქცევა პრობლემურია, არასწორია და აზიანებს სხვას. მას მტკიცედ უნდა ეცნობოს, რომ ჩაგვრაზე თვალს არავინ დახუჭავს, მაგრამ ეს საუბარი დატუქსვასა და მუქარაში არ უნდა გადაიზარდოს. ბავშვებთან ინტენსიური მუშაობა საჭიროა, რათა გააცნობიერონ თუ რა გახდა დაჩაგვრის მიზეზი, ხშირად მოზარდები ბულინგის განხორციელებით სარგებელს იღებენ, მაგალითად: ხდებიან ლიდერები, მოიპოვებენ ძალაუფლებას, ყურადღების ცენტრში ექცევიან. ასეთ დროს სასურველია მათი სპორტულ შეჯიბრებებში ან წრეებში ჩართვა, სადაც ის იქნება ლიდერი, რაშიც დაიმსახურებს ყურადღებასა და მოწონებას, თუმცა პოზიტიური საშუალებით და არა აგრესიის მეშვეობით. სხვა შემთხვევებში მოზარდის ბულინგში ჩართვის მიზეზი შეიძლება ცხოვრებისეული სირთულეები იყოს, ან თავად ყოფილა ბულინგის მსხვერპლი. ძალიან მნიშვნელოვანია ბულინგის გამომწვევი მიზეზის პოვნა.

სასურველია ისეთი პროექტების გაკეთება, რომლებიც ბავშვებს საკუთარი ქცევის ნეგატიური შედეგების გააზრებაში დაეხმარებათ. მაგალითად, კლასში გაიმართოს დისკუსია, როგორი უნდა იყოს კარგი მეგობარი, დაწერონ ესე ბულინგის ზემოქმედების თაობაზე, გაეცნოთ ისეთი შინაარსის სტატიები და წიგნები, სადაც ბულინგის თემა იქნება განხილული.

ბულინგის განმახორციელებელს გაეწიოს დახმარება მსხვერპლისთვის მიყენებული ზიანის აღდგენა/გამოსწორებაში.

ნულოვანი ტოლერანტობის გატარება - სკოლიდან დათხოვნა, დაშინება ან გამძევება - ბულინგის განმახორციელებლის ქცევას არ ცვლის. მათ სჭირდებათ არა დასჯა, არამედ დახმარება.

ბულინგის პრობლემის დროს არ მუშაობს ისეთი სტრატეგია, რომელიც მოლაპარაკებას და შეთანხმების მიღწევას გულისხმობს. მსგავსი მიდგომა დასაშვებია თანაბარი გავლენის მქონე მხარეების შემთხვევაში, რა დროსაც დამნაშავეა ორივე მხარე. ბულინგის მსხვერპლისთვის იმის თხოვნაც კი, რომ რაღაც დათმოს, არასწორია.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ბულინგის განმახორციელებელ მოზარდებთან ერთობლივი საუბარი არაეფექტურია, უმჯობესია თითოეულთან ინდივიდუალური გასაუბრება, რათა ერთმანეთზე გავლენის მოხდენა ვერ შეძლონ.

სასურველია ბულინგის პრობლემის აღმოფხვრის შემდეგ ბულინგის გამტარებელთან კომუნიკაციის გაგრძელება, მაგალითად შექება მისი დადებითი ქცევის გამოვლენის ან/და რამე სხვა სახით გამოხატული პოზიტიური ქმედებების გამო. მოზარდების ინფორმირება, თუ როგორ მოიქცნენ ბულინგის შემთხვევაში

ბავშვებთან კომუნიკაციისას ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზე, რომ ბულინგი არასწორი, უსამართლო საქციელია, ადამიანს უკარგავს თავისუფლებას და აყენებს სერიოზულ სტრესს და ბულინგის მსხვერპლს უფლება აქვს დაიცვას საკუთარი თავი. ბავშვებთან ერთად უნდა მოხდეს ბულინგის განხილვა, სადაც საუბარი იქნება ბულინგში მონაწილე პირების პასუხისმგებლობებზე, მაგალითად, რა უნდა გააკეთონ ბულინგის შემთხვევაში. სასარგებლო რეკომენდაციები:

რეკომენდაციები ბულინგის თვითმხილველებს: არ შეუერთდეს მათ, ვინც ბულინგს ახორციელებს, თანაუგრძნოს მსხვერპლს, დახმარებისთვის მიმართოს უფროსს ადამიანს ან თანატოლს, ვინც შეძლებს დახმარებას.

რეკომენდაციები ბულინგის მსხვერპლს: გაერიდოს სიტუაციას, ვიდრე სიტუაცია დაიძაბება, თავდაჯერებულად გაუწიოს აგრესორ მხარეს წინააღმდეგობა, საუბრისას უყუროს თვალეში, როცა ეუბნება, მაგალითად, „ამას მხოლოდ შენ

ფიქრობ“, „მნიშვნელობა არ აქვს, რას ფიქრობ ჩემზე“, აუცილებლად თხოვოს დახმარება უფროს ადამიანს ან თანატოლს.

ბულინგის შეფასება და მასზე რეაგირება

ბულინგის შეფასებაში მოიაზრება სკოლაში არსებული მდგომარეობის ანალიზი, კერძოდ: ვინ ხდება ბულინგის მსხვერპლი ან/და განმახორციელებელი ყველაზე ხშირად, სად და რა სიხშირით ხდება ბულინგი, სკოლის რომელ ნაწილში, რა ფორმით ხორციელდება, როგორ რეაგირებენ მოზარდები და პედაგოგები ბულინგის შემთხვევებზე.

მსგავსი ინფორმაციების გაგება მომავალში ხელს უწყობს ბულინგის პრევენციის კონკრეტული გეგმის შედგენაში.

თავი III

კონფლიქტი

„კონფლიქტი (ლათ. Conflicts - შეჯახება) - ურთიერთქმედი სუბიექტების ინტერესების, მიზნების, სურვილების, და პოზიციების შეჯახება.“ (თეზელიშვილი, 2007:291)

კონფლიქტი ადამიანებს შორის ინტერესთა, ღირებულებათა და პოზიციათა დაპირისპირების პროცესს წარმოადგენს. იგი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია, განსაკუთრებით მოზარდების ცხოვრებაში. ხშირად კონფლიქტს ცუდ შედეგებთან მიყვავართ, თუმცა, ზოგჯერ, პირიქით დადებითი შედეგების მოხდენაც შეუძლია ადამიანის განვითარებაში. კონფლიქტის საფუძველზე ზოგიერთი მოზარდი სწავლობს აგრესიის მართვას, თავშეკავებას, პასუხისმგებლობის აღებას საკუთარ თავზე.

სასკოლო კონფლიქტი განსხვავდება სხვა ნებისმიერი დაწესებულებისა თუ ორგანიზაციის კონფლიქტისაგან, რადგან მასში ჩართული არიან მოზარდები/ბავშვები.

სკოლაში ბევრი პირობაა ისეთი, რომ კონფლიქტებმა იჩინოს თავი, აქ ვხვდებით ბავშვებს განსხვავებული სოციალური სტატუსით, განსხვავებული ასაკის, ღირებულებების, რასის, მიზნების, ფასეულობების და ა. შ. რომლებიც ხანგრძლივ დროს ატარებენ ერთად, რაც კონფლიქტური სიტუაციებისთვის მეტად ხელსაყრელ გარემოს ქმნის. როგორც აღვნიშნეთ, სკოლის მოსწავლეები ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესში არიან, უჭირთ საკუთარი ქცევების და ემოციების მართვა და შეიძლება სრულიად უბრალო მიზეზით დაწყებული კონფლიქტი სერიოზულ დაპირისპირებაში გადაიზარდოს.

კონფლიქტი სასკოლო ცხოვრების განუყოფელი ნაწილია, თუმცა მასთან გამკლავების გზების შესახებ ბევრი არაფერი ვიცით. კონფლიქტის მოსაგვარებლად არ არსებობს ერთი, უნივერსალური სტრატეგია, მასთან მუშაობისას საჭიროა კომპლექსური მიდგომა. თავდაპირველად, საჭიროა, გავარკვიოთ თუ რა მიზეზები იწვევს კონფლიქტს, ანუ საიდან ჩნდება იგი.

არსებობს კონფლიქტის განსხვავებული ტიპები, რასაც განსხვავებული მიზეზები უდევს საფუძვლად, მაგალითად:

- 1) ერთი მხრივ სპორტი და სხვადასხვა შეჯიბრებები ხელს უწყობს მოზარდის ფსიქიკურ და ფიზიკურ განვითარებას, ხოლო მეორე მხრივ ის ღონისძიებები რაც კონკურენციას გულისხმობს, ქმნიან მოზარდებს შორის კონფლიქტის განვითარების სერიოზულ რისკს. შეჯიბრისას ორივე მხარეს მყოფ გუნდს შესაძლოა საკუთარი ჯგუფის „უნიკალობის“ განცდა დაეუფლოს და ჯგუფის წევრებს ეგონოთ, რომ მხოლოდ მათ ახასიათებთ დადებითი თვისებები. კონკურენცია შეიძლება სამეგობროებს შორისაც განვითარდეს. მაგ: დაპირისპირება ჯგუფებს შორის მუსიკალური გემოვნების, ჩაცმის სტილის ან სკოლაში პოპულარობის გამო.

- 2) თითოეულ ჩვენგანს გაგვაჩნია პირადი ინტერესი. ჩვენი ინტერესი შეიძლება უპირისპირდებოდეს სხვების ინტერესებს. უფროსებისგან განსხვავებით მოზარდებს ემოციური თვითკონტროლი ნაკლებად აქვთ განვითარებული, რაც იწვევს და ართულებს კონფლიქტურ სიტუაციებს. სასკოლო ასაკის ბავშვები ნაკლებად მიდიან კომპრომისზე, თითქმის არ ითვალისწინებენ სხვის აზრს, თავგამოდებით იცავენ საკუთარ პოზიციებს, რაც ზრდის ფიზიკური დაპირისპირების შესაძლებლობას.
- 3) სკოლაში მოზარდებს/კლასებს ერთგვარი „სწორი ქცევის“ საკუთარი ნორმები აქვთ ჩამოყალიბებული. თანაკლასელებს შორის კონფლიქტი მაშინ შეიძლება წარმოიშვას როცა რომელიმე წევრი ქცევის დადგენილ წესებს არღვევს ან ცდილობს შეცვალოს წესები.
- 4) მოსწავლეთა ქცევის წესები ხანდახან ეწინააღმდეგება სკოლის მიერ განსაზღვრულ წესებს/სკოლის შინაგანაწესს. სკოლის ნორმების დარღვევა მოსწავლის მიერ შეიძლება სპეციალურად ხდებოდეს, რათა მან ავტორიტეტი გაზარდოს თანატოლთა თვალში და ამით საკუთარი სტატუსი აიმაღლოს.
- 5) ზოგიერთი კონფლიქტი დაკავშირებულია ერთი მოზარდის მიერ მეორის პიროვნული თვისებების აღქმასთან. შესაძლოა, თანაკლასელის არაკომუნიკაბელურობა გახდეს მისი აბუჩად აგდების მიზეზი. თითოეულ მოზარდს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ქცევის ნიშნები გააჩნია, რამაც შეიძლება მოსწავლის ჩაგვრის და გარიყვის მიზეზი გამოიწვიოს.
- 6) ლიდერობის სურვილი, თანატოლების მეტოქედ აღქმა წინააღმდეგობის გადალახვის პროცესში.
- 7) უპასუხო გრძნობა თანაკლასელების მხრიდან, როცა მეგობრული ურთიერთობა სურს ბავშვს და საპასუხოდ იმავს ვერ იღებს.
- 8) ქედმაღალი დამოკიდებულება თანატოლების მიმართ და უარყოფითი პოზიციის აშკარა დემონსტრირება.

- 9) ბრძოლა თვითდამკვიდრებისთვის და აღიარებისთვის, თანატოლთა შორის სასურველი ადგილის დასამკვიდრებლად.
- 10) სხვა სკოლაში გადასვლა მოზარდობის ასაკში, ახალ გარემოსთან შეგუება, გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული.

კონფლიქტის ეტაპები

მოზარდებს შორის დაპირისპირება ერთგვარი პროცესია, რომელიც რამდენიმე საფეხურს გაივლის, ეს ეტაპებია: წინარეკონფლიქტური სიტუაცია, დაპირისპირება, კრიზისი, დასასრული, პოსტკონფლიქტური სიტუაცია.

წინარეკონფლიქტური სიტუაცია. კონფლიქტი არ იწყება უშუალოდ იმ მომენტიდან, როცა მხარეები ერთმანეთის პირისპირ დგებიან და კამათს იწყებენ. ვიდრე სიტუაცია ფიზიკურ და სიტყვიერ დაპირისპირებაში გადაიზრდება, მოზარდებს შორის მიმდინარეობს ფარული დაპირისპირება, რაც გამოიხატება ერთმანეთის მიმართ ნეგატიურ დამოკიდებულებებსა და შეხედულებებში. მოზარდებს შეიძლება შეხება არ ჰქონდეთ ერთმანეთთან, თუმცა გარკვეული ნეგატიური დამოკიდებულების მატარებლები იყვნენ ერთმანეთის მიმართ, რაც „წინარეკონფლიქტური სიტუაციის“ მანიშნებელია. რაც უფრო ძლიერია ნეგატიური დამოკიდებულება, მით უფრო მძაფრია კონფლიქტის შემდგომი სტადია.

დაპირისპირება. ეს ეტაპი გულისხმობს მოზარდებს შორის პირველად უშუალო შეხებას მწვავე საკითხის ირგვლივ. ამ საფეხურზე ხდება საკუთარი კრიტიკული მოსაზრებების გამოთქმა. მათ არგუმენტები მოჰყავთ თავის სასარგებლოდ, ეგოისტურად იცავენ საკუთარ აზრს.

კრიზისი. ამ ეტაპზე საუბარი, სიტყვიერი პაექრობა კარგავს მნიშვნელობას და გარკვეული დროის შემდეგ კონფლიქტი გადაიზრდება მწვავე სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფაში. ამ ეტაპზე ისინი უბრალოდ ცდილობენ შური იძიონ იმ ქმედებისთვის, რაც დაპირისპირებულმა მხარემ მის მიმართ ჩაიდინა. კონფლიქტი ჩიხში მაშინ შედის, როცა დაპირისპირებულმა მხარეებმა ვერ შეძლეს პირველ

საფეხურზე მოლაპარაკება, ან კონფლიქტში არ ჩაერია უფროსი პიროვნება, რომელიც შეძლებდა მოზარდების განეიტრალებას.

დასასრული. დასასრულის ეტაპზე მხარეები ემოციურად განიმუხტებიან და მთავრდება კონფლიქტის ხილული ნიშნების გამოვლენა.

პოსტკონფლიქტური სიტუაცია. დასასრულის ეტაპი არ გულისხმობს, იმას რომ მოზარდებს შორის კონფლიქტი სრულად გაქრა. მოცემულ მომენტში უბრალოდ ქრება კონფლიქტის ხილული ფორმები, რასაც მოსდევს „პოსტკონფლიქტური სიტუაციის“ ეტაპი. ეს ეტაპი გულისხმობს დავის მოუგვარებლობის განცდას მოზარდებში, რა დროსაც მაღალია რისკი იმისა, რომ ისინი მომავალშიც განაახლებენ კონფლიქტს.

კონფლიქტი მაშინ ხდება პრობლემა, როცა სიტუაცია კონტროლს აღარ ექვემდებარება და კონფლიქტის შედეგად ერთი მხარე მაინც ზარალდება. მოსწავლემ ხშირად არ იცის როგორ მოაგვაროს კონფლიქტი, რა დროსაც ის მიმართავს აგრესიას და ძალადობას. ბევრი მოზარდი აგრესიის (სიტყვიერი თუ ფიზიკური) გამოხატვაში ხედავს პრობლემის მოგვარების ერთადერთ გზას. ხშირ შემთხვევაში, მათ ძალის გამოყენება კი არ სიამოვნებთ, არამედ პრობლემის მოგვარების სხვა ალტერნატივას ვერ ხედავს. ამას შეიძლება რამდენიმე მიზეზი ჰქონდეს:

- ხანდახან მოსწავლეები ფიქრობენ, რომ კონკრეტულ სიტუაციაში ძალის გამოყენება მისაღები ხერხია, ისინი ფიქრობენ, რომ თუ კი ძალას არ გამოიყენებენ თანატოლებმა შეიძლება სუსტად მიიჩნიონ და მომავალში დაჩაგრონ.
- მოსწავლეებს არ აქვთ მყარად ჩამოყალიბებული სოციალური უნარ-ჩვევები, ვერ ახერხებენ თავის გაკონტროლებას, არ აქვთ ჯანსაღი კომუნიკაციის უნარი აქედან გამომდინარე ვერ ამყარებენ და ინარჩუნებენ პოზიტიურ ურთიერთობებს სხვა ადამიანებთან. მათ არ იციან როგორ იმეგობრონ თანატოლებთან, როგორია ურთიერთობისთვის მისაღები ფორმა, როგორ მიიქციონ უფროსების ყურადღება, როგორ გამოხატონ თავიანთი ემოცია, მაგალითად სიბრაზე.

კონფლიქტი ჩნდება მაშინ, როცა მხარეები ერთმანეთს ვერ ეთანხმებიან, აზრთა სხვადასხვაობაა საკითხის ირგვლივ. „, თავად კონფლიქტის არსებობა ბუნებრივი, ყოველდღიური მოვლენაა და მისი მოგვარების საუკეთესო გზა კონსტრუქციული გადაწყვეტაა (იგულისხმება კონფლიქტების მოგვარება მოლაპარაკებისა და დაპირისპირებული მხარეებისგან გარკვეულ კომპრომისებზე წასვლის გზით).

ამ გზით კონფლიქტის მოგვარებას დადებითი მხარეები აქვს:

„ი მოზარდებს უვითარდებათ სააზროვნო უნარ-ჩვევები, მაგ: კრიტიკული აზროვნება, დაბრკოლების შემოქმედებითი გადალახვის უნარი და ა.შ

o იძენენ გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარს.

o მზად ხვდებიან მოულოდნელ, სტრესულ სიტუაციებს, რაც ფსიქოლოგიური განვითარების მაღალი მაჩვენებელია.

o ურთიერთობები უფრო მაღალ საფეხურზე გადადის, ერთმანეთის ნდობასა და პატივისცემას სწავლობენ“.(სასწავლო და პროფესიული გარემო, 2008:92)

სკოლაში მოზარდებს შორის აგრესია სხვადასხვა ფორმით გვხვდება: პერიოდული კინკლაობით, დევნით, სიტყვიერი ან ფიზიკური შევიწროებით (შეურაცხმყოფელი მეტსახელების შერქმევა, ფულის ან პირადი ნივთების წართმევა). ძირითადად ასე ეპყრობიან მოსწავლეს, რომელიც უფრო სუსტი და მორცხვია, ვისაც ნაკლები მეგობარი ჰყავს ან სულაც არ ჰყავს, რადგან არ აქვს ადამიანებთან ურთიერთობისთვის საჭირო უნარ-ჩვევები გამომუშავებული. ან დანარჩენი მოსწავლეებისგან განსხვავდებიან რელიგიური მრწამსით, ან სოციალური ნიშნით. სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მოსწავლეთა უმრავლესობას აგრესია საკუთარ თავზე გამოუცდია. მოზარდები უფრო მეტად ფიზიკურ აგრესიას მიმართავენ, გოგონები კი სიტყვიერ შეურაცხყოფას, ჭორების გავრცელებას, აბუჩად აგდებას, რაც ხშირად ფიზიკურ ტკივილზე უარესია. რასაც გვიმოწმებს სულხან-საბა ორბელიანი თავის იგავ-არაკში: „ძმაო, შენის ცულით დაკოდლი თავი გამიმთელდა და შენის ცოლის ენით დაკოდლი გული არაო.“ ან

კიდევ, „ხმალზე უფრო ძლიერად ჭრის პატარა და რბილი ენა“- როგორც აკაკი წერეთელი ამბობს.

დიდი ხნის განმავლობაში გამოვლენილი აგრესია სერიოზულ კვალს ტოვებს მოზარდის ფსიქიკაზე. მას შეიძლება ჩამოუყალიბდეს არასრულფასოვნების კომპლექსი, დაუქვეთდეს თვითშეფასების დონე, დაკარგოს საკუთარი თავის რწმენა, სკოლაში წასვლაზე უარი თქვას, რაც აკადემიურ მოსწრებაზე იქონიებს გავლენას. პედაგოგმა და უპირველესად, კლასის ხელმძღვანელმა, მოსწავლეები უნდა დაარწმუნოს აგრესიის არაეფექტურ მნიშვნელობაში. ძალიან მნიშვნელოვანია კლასში ურთიერთპატივისცემის, თანამშრომლობის, თანადგომის ატმოსფეროს შექმნა, რაც კლასთან ინტენსიური მუშაობით მიიღწევა. მოსწავლეებმა უნდა დაინახონ ერთობას, გუნდურ მუშაობას და მეგობრობას რა დადებითი მხარეები აქვს.

კლასის შეკვრასა და დადებითი ურთიერთობების ჩამოყალიბებას დიდად ხელს უწყობს თანამშრომლობითი სწავლება და თავად პედაგოგის დამოკიდებულება მოსწავლეების მიმართ. ჩაატარეს ასეთი ექსპერიმენტი: უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვებს შესთავაზეს აქტივობები, სადაც ზოგჯერ ერთმანეთის მოწინააღმდეგეები ზოგჯერ კი თანამშრომლები იყვნენ. კონკურენტულ გარემოში მოსწავლეები ერთმანეთის მიმართ აგრესიას გამოხატავდნენ, ხოლო თანამშრომლობისას- პირიქით.

მეორე ექსპერიმენტის დროს I-II კლასის მოსწავლეებს აჩვენეს ფილმი „პრობლემურ მოსწავლეზე“ (ფილმში მსახიობი თამაშობდა). ფილმის ნახვის შემდეგ მასწავლებელი ხაზს უსვამდა მოსწავლის დადებით თვისებებს, რის შემდეგაც მოსწავლეები დადებითად ახასიათებდნენ აღნიშნულ მოსწავლეს. აქედან გამომდინარე მასწავლებელს შეუძლია გავლენის მოხდენა კლასში ბავშვის სტატუსზე. მნიშვნელოვანია პედაგოგის მიერ კლასში ისეთი გარემოს შექმნა, სადაც მოზარდებს საერთო მიზნის მისაღწევად მოუწევთ ერთად მუშაობა და მოსწავლეების მიმართ კეთილგანწყობის ჩვენება.

სწავლების პროცესში თანამშრომლობითი მეთოდი, სადაც ისინი ერთად ასრულებენ დავალებას, ხსნიან ამოცანებს, ხდება ერთმანეთის მოსაზრების გაცვლა და ა. შ. ხელს უწყობს მოსწავლეთა შორის უფრო აქტიურ ურთიერთობას და ისინი სწავლობენ პასუხისმგებლობის გაზიარებას, თანატოლის დახმარებას, სწავლობენ ერთმანეთთან საუბარს, ერთმანეთის მოსმენას, საკუთარი აზრის გამოთქმას, უვითარდებათ სოციალური უნარ-ჩვევები, რაც შემდეგში ხელს უწყობს კონფლიქტის კონსტრუქციული გზით მოგვარების ხერხს.

ასეთ გარემოში იზრდება მოსწავლის თვითშეფასება, საკუთარი თავის რწმენა და სხვების პატივისცემა, ყალიბდება ეთიკური ღირებულებები, როგორცაა სამართლიანობა, ტოლერანტობა.

კონფლიქტის მოგვარების სტრატეგიები და აგრესიის მართვა

აგრესიის მართვა უპირველესად გულისხმობს მოსწავლეებს შორის დაპირისპირების პრევენციას. საუკეთესო სცენართან მაშინ გვაქვს საქმე, თუ მოხერხდება კონფლიქტური სიტუაციის დასაწყისშივე განეიტრალება. იმ შემთხვევაში, თუ მოზარდებს შორის დაპირისპირება გადავა მაღალ საფეხურზე, მისი მართვა მნიშვნელოვნად გართულდება.

კონფლიქტის მართვის კუთხით სწორად მოლაპარაკებები მნიშვნელოვან შესაძლებლობებს იძლევა. ამ მხრივ გამოიყოფა ორი სახის დადებითი შედეგი, რომელსაც შეიძლება მივაღწიოთ, კონფლიქტისადმი სწორი მიდგომის შემთხვევაში. პირველი - ხელი შევუწყობთ მოცემულ სიტუაციაში არსებული დაპირისპირების უმტკივნეულო მოგვარებას, მეორე - დავებმართო მოზარდებს პრობლემის უმტკივნეულოდ გადაჭრაში, რის საფუძველზეც მათ მიეცემათ მაგალითი, რომ თავად გამოიმუშაონ ახალი სოციალური უნარები, რაც წარმოადგენს ერთგვარი სტრატეგიული მნიშვნელობის შედეგს. როცა მოსწავლეებს ვებმარებით პრობლემების მოგვარებაში, მთავარი აქცენტი იმაზე კი არ უნდა იყოს გაკეთებული, რომ მოცემულ მომენტში არსებული უთანხმოება მოგვარდეს, არამედ იმაზე, რომ სკოლის მოსწავლეებს დავანახოთ ახალი საშუალებები და გზები, თუ როგორ

მოაგვარონ ანალოგიური კონფლიქტები მომავალშიც, მოლაპარაკებების გზით. წარმატებულად გადაწყვეტილი დავა უნდა იყოს გამოცდილება მოზარდებისთვის. იგი უნდა აძლევდეს მათ შესაძლებლობას აითვისონ ახალი პრაქტიკული უნარი.

თავად კონფლიქტის არსებობა სასკოლო რეალობაში ბუნებრივი, ყოველდღიური მოვლენაა. მიიჩნევა, რომ კონფლიქტის გადაჭრის საუკეთესო გზა კონსტრუქციული გადაწყვეტაა, რაშიც იგულისხმება პრობლემის მოლაპარაკების გზით მოგვარება და მხარეების გარკვეულ კომპრომისებზე წასვლა. კონფლიქტის კონსტრუქციული გადაწყვეტის დროს:

- ვითარდება რთული სააზროვნო უნარ-ჩვევები, მაგალითად პრობლემის შემოქმედებითი გადაჭრის უნარი, კრიტიკული აზროვნების უნარი და ა.შ.
- მოზარდებს უვითარდებათ გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი.
- მოსწავლეები მზად არიან თავი გაართვან მოულოდნელ გარემოებებს და მარტივად დაძლიონ სტრესი, რაც მაღალი ფსიქოლოგიური და სოციალური განვითარების მაჩვენებელია.
- მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის იზრდება ურთიერთნდობა, პატივისცემა, რაც ხელს უწყობს ბავშვების გაერთიანებას და მეგობრული ურთიერთობების ჩამოყალიბებას.

მოზარდებს შორის დაპირისპირებისას კონფლიქტის მთავარ მამომრავებელ ძალას აგრესია წარმოადგენს. შესაბამისად, პედაგოგის, მანდატურის ან ნებისმიერი კომპეტენტური პირის მთავარი ამოცანაა, პირველ რიგში განმუხტოს ვითარება ამ უარყოფითი ემოციისგან.

განვიხილოთ ასეთი შემთხვევა: ხელოვნების გაკვეთილის მიმდინარეობისას, სრულიად შემთხვევით ანას კესოს ნახატზე საღებავი დაეღვარა, რამაც დააზიანა ნახატი. კესო ძალიან გაბრაზდა, დაიწყო ყვირილი თანაკლასელის მისამართით და

შეურაცხმყოფელი სიტყვებიც კი უთხრა. ანამ კი პასუხად მერხიდან ნივთები გადაუყარა და თვითონაც ხმამაღალი საუბრით სცემდა პასუხებს.

ამ დროს მასწავლებელი უნდა შეეცადოს სიტუაცია განმუხტოს და ერთ-ერთი მოსწავლე გაარიდოს სიტუაციას, ამ შემთხვევაში კესო. მარტო დარჩენილი კესო მასწავლებელთან ისაუბრებს წყენის მიზეზზე, რაც საშუალებას მისცემს დაიცალოს უარყოფითი ემოციისგან. ამის შემდეგ მასწავლებელი საუბრობს შემთხვევით მომხდარ გაუგებრობაზე, და მოსწავლეს უხსნის, რომ მომავალში შეიძლება მასაც მოუვიდეს ასეთი მარცხი თანაკლასელთან ან სხვასთან, ამიტომ გაგებით უნდა მოეკიდოს ანას საქციელს და მშვიდად შეხვდეს ნახატის გაფუჭებას. ასევე, შეიძლება მოსწავლეს უთხრას, რომ კარგად ხატავს და კიდევ შეძლებს ახალი სურათის დახატვას. მსგავსი მიდგომით კონფლიქტი პროგრესს აღარ განიცდის, პირიქით მოსწავლეები მეტი მოთმინებით აღიჭურვებიან, მომავალ სირთულეებთან შეჭიდებისას.

როგორც აღვნიშნეთ, სკოლაში ხშირია კონფლიქტური სიტუაციის სცენები და მიუხედავად მასწავლებლის მცდელობისა, მარტივად განმუხტოს კონფლიქტი, შეიძლება გაუარესდეს, გამწვავდეს და ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდოს. არსებობს გარკვეული რეკომენდაციები, თუ როგორ უნდა მოიქცეს ამ დროს მასწავლებელი/კომპეტენტური პირი:

შორიდან შევაფასოთ სიტუაცია, ვინ მონაწილეობს კონფლიქტში? რა ვიცი კონკრეტული მოსწავლეების შესახებ, რას უნდა მოველოდეთ მათგან? შესაძლოა დამხმარე ძალის მოხმობა დაგვჭირდეს. ზემოთ ხსენებულ სიტუაციაში უფრო აგრესიულად კესო იყო განწყობილი ამიტომ მასწავლებელმა სწორედ ის გაარიდა ანას, სხვა შემთხვევაში შესაძლოა ორივე მხარე თანაბარ აგრესიას განიცდიდეს და დამხმარე ძალა სწორედ მეორე მხარის შეჩერებისთვის დაგვჭირდეს.

ჩვენი მიზანი უნდა იყოს სიტუაციის იმგვარი განმუხტვა, რა დროსაც არცერთი მხარის თავმოყვარეობა და ღირსება არ შეილახება.

მაქსიმალურად შევეცადოთ დამსწრე პირები, ე.წ. მაყურებლები (მაგალითად, კონფლიქტი შესვენებაზე თუ მოხდება სხვადასხვა კლასების

მოსწავლეები მოიყრიან თავს) გავარიდოთ სიტუაციას. ამ დროს მატულობს ხმაური, შემახილები, შეიძლება რომელიმე მხარეს გულშემატკივარიც კი გამოუჩნდეს და დახმარების გაწევა სცადოს, რაც, უფრო მეტად მასშტაბურს გახდის სიტუაციას.

შევეცადოთ კატეგორიულები ვიყოთ და ხმამაღლა და მკაცრად ვუთხრათ დაუწიონ ხმას, და რაც მთავარია შეწყვიტონ შეურაცხმყოფელი სიტყვების გამოყენება და ა.შ.

როდესაც აგრესიული მუხტი შესუსტდება შეგვიძლია ვუთხრათ, რომ ჩხუბის გაგრძელებას ყოველთვის მოახერხებენ და ჩვენ ხელს ვერ შევუშლით მაგრამ მანამდე საუბარი მოუწევთ მასწავლებელთან ან/და დირექტორთან.

შევეცადოთ მოსწავლესთან დავამყაროთ ემოციური კონტაქტი. მოზარდი, რომელიც დემონსტრაციულად გამოხატავს ბრაზსა და უკმაყოფილებას, საჭიროა მასთან ერთგვარი კავშირის დამყარება. მაგრამ, მხოლოდ რაციონალური ენითა და ლოგიკური არგუმენტებით შეიძლება ფონს ვერ გავიდეთ. ამ დროს შეიძლება ემპათიით გადავჭრათ კონტაქტის პრობლემა. (ემპათია - სხვისი თვალებიდან ყურება, სხვისი ყურიდან მოსმენა და სხვისი გულით გრძნობა) ნებისმიერ ქცევას აქვს საკუთარი გამომწვევი მიზეზები. აგრესიული ქცევაც, ყოველთვის რაიმე ფაქტორით არის მოტივირებული, იქნება ეს შეურაცხყოფის მიღება თანატოლის მხრიდან, არასათანადო მოპყრობის გამოცდილება მასწავლებლის მხრიდან, თავის დამკვიდრების მცდელობა კლასში თუ სხვა. როდესაც ცდილობთ თავი ჩააყენოთ მოსწავლის პოზიციაში და ასე ახსნათ მისი ქცევა, ნაკლებად განიცდით ბრაზს და შედარებით მარტივად ახერხებთ მასთან კომუნიკაციის დამყარებას. შეიძლება ფიქრობდეთ, რომ მოზარდმა დაიმსახურა სასჯელი, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ აგრესიის მიღმა, ყოველთვის დგას პრობლემა, რომლის მოგვარებაშიც მოსწავლეს შეიძლება სწორედ თქვენი დახმარება სჭირდება.

ემპათიის გამოვლენა შესაძლებელია აქტიური მოსმენის გზით. ეს კი, თავის მხრივ საუბრით ნამდვილ დაინტერესებასა და მასზე კონცენტრირებას გულისხმობს. თუ კი აქტიური მსმენელი ხართ, ამით მოსწავლეს უბიძგებთ დადებითი კომუნიკაციის შენარჩუნებისკენ, მას უჩნდება განცდა, რომ მისი საუბარი

ნამდვილად მნიშვნელოვანია და შეეცდება გულწრფელი იყოს და ითანამშრომლოს თქვენთან.

დავეხმართ მოსწავლეს გამოსავლის პოვნაში, შევთავაზოთ კონფლიქტის მოგვარების სხვადასხვა ალტერნატივა. და არ დაგვავიწყდეს, კონფლიქტის გადაჭრის არცერთი გზა არ უნდა ლახავდეს მოსწავლის ღირსებასა და თავმოყვარეობას.

აგრესიული ფაქტის შეჩერება და აღკვეთა მხოლოდ პირველი ნაბიჯია კონფლიქტური სიტუაციის მოგვარებისას. ზემოთ ხსენებულ შემთხვევაში მასწავლებელმა წარმატებით შეაჩერა მოსწავლეები და თავიდან აირიდა კონფლიქტის გართულება. მაგრამ, შესაძლოა კონფლიქტი საბოლოოდ არც იყოს მოგვარებული, დასაშვებია, მოსწავლეებს შორის (კესოსა და ანას) მეტოქეობა უფრო ადრე დაიწყო. მასწავლებლებს ხშირად სერიოზული როლის შესრულება უხდება მოსწავლეთა კონფლიქტების დარეგულირებაში.

როდესაც კონფლიქტზე ვსაუბრობთ, შეიძლება შთაბეჭდილება დაგვრჩეს, რომ ერთი მხარე მოგებულს უნდა დარჩეს და მეორე დაისაჯოს. კონსტრუქციული გზით კონფლიქტის მოგვარება კი გულისხმობს ისეთი გადაწყვეტილების მიღებას, რომლის შედეგადაც ორივე მხარე მოგებულს დარჩება. ჩვენი მიზანია პრობლემის არსის სიღრმისეული გააზრება და ორივე მხარისთვის მეტ-ნაკლებად მისაღები გამოსავლის პოვნა.

განვიხილოთ კონფლიქტური სიტუაცია. ბექა და დათა თანაკლასელები არიან. ისინი ხშირად კინკლაობენ და მათი კამათი ხშირად ხელს უშლის საგაკვეთილო პროცესს. მასწავლებელმა ჩათვალა, რომ მოლაპარაკების გზა საუკეთესო გზაა მათი კონფლიქტის მოსაგვარებლად. ორივე მოსწავლე დათანხმდა მოლაპარაკების გამართვაზე. პირველ რიგში, მოსწავლეები შეეცადნენ, გაერკვიათ, რა ხდებოდა მათ შორის, რა პრეტენზიები ჰქონდათ ერთმანეთთან. კონკრეტულად, ერთმანეთის რომელი ქცევები აღიზიანებდათ. ამის შემდეგ, მასწავლებელმა სთხოვა მათ, ჩამოეთვალათ პრობლემის მოგვარების გზები. მასწავლებელმა საუბრის მეშვეობით მოსწავლეები დაარწმუნა, რომ სკოლაში არ შეიძლება ჩხუბი და შეთანხმდენ, ამ დღიდან სკოლის ტერიტორიაზე აღარ დაუპირისპირდებოდნენ ერთმანეთს. თუმცა

მეგობრებაზე უარი განაცხადეს. ამგვარად, ხელი ჩამოართვეს, შედგა შეთანხმება. ამ დღის შემდეგ სკოლაში მათი ურთიერთობა დადებითად შეიცვალა, რაც სკოლის გარეთ ურთიერთობაზეც აისახა.

ამ შემთხვევაშიც, პირველ რიგში პრობლემის არსი თავიდანვე სწორად უნდა განვსაზღვროთ. ორივე მხარეს სწორად უნდა ესმოდეს სიტუაციის არსი, დავრწმუნდეთ, რომ არ არსებობს სხვა, უფრო სიღრმისეული პრობლემა. მოსწავლეებს უნდა შევუქმნათ ისეთი გარემო, სადაც გულწრფელ საუბარს შეძლებენ, მაგრამ საყურადღებოა ისიც, რომ მოლაპარაკებისას მოსწავლეების საუბარი ურთიერთბრალდებებში არ გადაიზარდოს. წინასწარ უნდა შევუთანხმდეთ, რომ ერთმანეთს მოუსმენენ და არ შეაწყვეტინებენ საუბარს. უმჯობესია მოსწავლეებმა საკუთარ თავზე ისაუბრონ, მაგალითად, რა განიცადეს თანატოლის ქმედების შედეგად და რა სურთ რომ მიიღონ მისგან. მაგალითად, ძალიან განიცადა თანაკლასელების თანდასწრებით რომ მიაყენა შეურაცხყოფა და მსგავსი ქმედება აღარ უნდა რომ განმეორდეს.

ერთმანეთის გულწრფელი აღიარების მოსმენის შემდეგ მოსწავლეები განიხილავენ კონფლიქტის მოგვარების ვარიანტებს. მოზარდები ამ ვარიანტებიდან მათთვის მისაღებ ვარიანტს აირჩევენ, რის შემდეგაც მასწავლებელი კიდევ ერთხელ აუხსნის ვარიანტის პირობებს, რათა დარწმუნდეს, რომ ბავშვებმა ყველაფერი სწორად გაიგეს.

სასკოლო კონფლიქტების მოგვარების პრაქტიკაში, მოსწავლეებს შორის დავის მოლაპარაკების გზით გადაჭრა ყველაზე მეტად ეფექტურია. ამისთვის აუცილებელია, რომ ორივე მხარეს ჰქონდეს სურვილი კონსტრუქციული ნაბიჯის გადადგმისთვის.

მედიაცია

კონფლიქტის მოგვარების მეორე, ასევე ეფექტური საშუალება არის მედიაცია. მედიაცია არის კონფლიქტის მოგვარების სტრატეგია, რომლის დროსაც მესამე მხარე ეხმარება მოსწავლეებს გაუგებრობის მოგვარებაში. მედიატორმა დაპირისპირებულ მოსწავლეებს უნდა დაელაპარაკოს ცალ-ცალკე, და მათი ვერსიები მოისმინოს, მას შეუძლია გაიმეოროს ან შეაჯამოს საკვანძო მომენტები დასაზუსტებლად და იმაში დასარწმუნებლად, რომ მონათხრობი სწორად გაიგო, მედიატორმა უნდა ჩამოთვალოს ყველა ალტერნატივა საკუთარი მოსაზრების გამოთქმის გარეშე, შეაფასოს შეთავაზებული ალტერნატივები იმის მიხედვით, თუ რამდენად აკმაყოფილებს ისინი ორივე მხარის მოთხოვნასა და ინტერესებს. ამავდროულად მედიატორმა უნდა აკონტროლოს სიტუაცია, რათა არ გამწვავდეს და მთელი პროცესი ორიენტირებული იყოს არა ურთიერთდადანაშაულებაზე, არამედ მისალწევ მიზნებზე.

მედიაციის დაწყებამდე უნდა განისაზღვროს ის წესები, რომლებიც მოლაპარაკების პროცესს დაარეგულირებს, მაგალითად, ერთმანეთისადმი მიმართვის ფორმებს, პატივი უნდა სცენ ერთმანეთის აზრებს, სურვილებს და ა. შ. მიუხედავად დაწესებული წესებისა შესაძლოა მოსწავლეებმა არ შეასრულონ. მედიატორი მოთმინებით უნდა შეეცადოს სიტუაციის დარეგულირებას.

აღსანიშნავია ის, რომ მედიატორი თავდაპირველად დაპირისპირებულ მხარეებს უსმენს და გადაწყვეტილების მიღების უფლებასაც მათვე უტოვებს, იგი უნდა იყოს აბსოლუტურად მიუკერძოებელი, ნეიტრალური პირი. იმ შემთხვევაში, თუ კი მოსწავლეები ვერ იღებენ გადაწყვეტილებას, სწორედ მაშინ სთავაზობს მედიატორი მოგვარების გზებს.

ყველაზე მნიშვნელოვანი რამ, რაც ამ ეტაპზე უნდა გვახსოვდეს არის ის, რომ საბოლოო გადაწყვეტილება, რომელსაც მოზარდები მიიღებენ, შესაძლოა არ იყოს საუკეთესო ჩამოთვლილ და განხილულ ვარიანტებს შორის. ამასთანავე, შესაძლოა ეს გადაწყვეტილება მხოლოდ ნაწილობრივ აკმაყოფილებდეს მათ მოთხოვნებს და არა სრულიად. თუმცა უმნიშვნელოვანესი აქ ისაა, რომ მხარეებმა შეძლონ დათმობაზე წასვლა, საერთო აზრის გამოხატვა და საერთო გადაწყვეტილების მიღება.

მას შემდეგ, რაც მხარეები გადაწყვეტილებას მიიღებენ, მედიატორმა უნდა გაიმეოროს მხარეების მიღებული გადაწყვეტილების სამოქმედო გეგმა. რაც დაარწმუნებს მედიატორს იმაში, რომ ორივე მხარეს სწორად ესმის თუ რას ნიშნავს მიღებული გადაწყვეტილება და რა ვალდებულებებს აკისრებს მათ. ამის შემდეგ კი, მომავალში მედიატორმა უნდა გააკონტროლოს მოზარდები რამდენად ასრულებენ დაკისრებულ ვალდებულებებს.

არბიტრაცია

ხშირად მოსწავლეთა შორის კონფლიქტის მოგვარება არც ისეთი მარტივია, როგორც ერთი შეხედვით ჩანს, ჩვენ შეიძლება კონფლიქტის მოგვარების ყველა შესაძლო ხერხს მივმართოთ, მაგრამ სასურველ შედეგს ვერ მივაღწიოთ. მაშინ, როცა ზემოთ განხილული არცერთი ხერხი არ ამართლებს მედიატორი იძულებულია გამოიყენოს კონფლიქტის მოგვარების კიდევ ერთი სტრატეგია - არბიტრაცია. ამ შემთხვევაში მედიატორი თვითონ ირჩევს გადაწყვეტილებას თუ როგორ მოაგვაროს კონფლიქტი.

„დაბოლოს, გავითვალისწინოთ, რომ ძალიან ხშირად ბავშვებს დამოუკიდებლად, უფროსების დახმარების გარეშეც შეუძლიათ მოაგვარონ თანატოლთან კონფლიქტური სიტუაცია. ამდენად, კარგი იქნება, თუ მას გარკვეულ საზღვრებში დამოუკიდებლად მოქმედების უფლებას მივცემთ. თუმცა, ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება მისაღები და შესაძლებელი, თუ სიტუაცია უმნიშვნელო მიზეზის გამო დაიძაბა და მოზარდს მისი მოგვარების უნარი აქვს.“

<http://mastsavlebeli.ge/?p=18240>

უსაფრთხო და მხარდაჭერი გარემოს შექმნა სკოლაში

უსაფრთხო, თანადგომასა და მხარდაჭერაზე ორიენტირებული სასკოლო გარემო ბულინგის თავიდან აცილების საუკეთესო საშუალებაა. ბავშვების სრულფასოვანი განვითარებაც სწორედ მაშინ ხდება/იწყება, როდესაც თავს დაცულად, ჯანმრთელად და ბედნიერად გრძნობენ. მოზარდი ბედნიერი და ლაღი მაშინ არის, როცა მის

ცხოვრებაში პოზიტიური ემოციები სჭარბობს ნეგატიურს. ამისთვის ბავშვებს სჭირდებათ უსაფრთხო და კეთილგანწყობილი გარემოს შექმნა როგორც ოჯახში, ასევე სკოლაში. უსაფრთხოების მოთხოვნილება მასლოუს „მოთხოვნილებათა იერარქიაში“ ერთ-ერთი მთავარი საბაზისო მოთხოვნილებაა.

უსაფრთხო გარემო, პირველ რიგში, გულისხმობს ფიზიკურ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობას, მაგალითად: უსაფრთხო ინფრასტრუქტურა, საკლასო ოთახი და ასევე ფიზიკური ძალადობისგან დაცვას. ფიზიკურ უსაფრთხოებასთან ერთად აუცილებელია მოსწავლეების ფსიქოლოგიური უსაფრთხოების გათვალისწინება. უსაფრთხო ფსიქოლოგიურ გარემოში მოიაზრება: ბავშვებისადმი ჰუმანური დამოკიდებულება, პოზიტიური ურთიერთობებისთვის ხელშეწყობა, მოზარდების დაცვა მატრავმირებელი სიტუაციებისგან და სხვების მხრიდან მუქარებისგან, მოსწავლეების ქცევის მართვისა, სტრესულ სიტუაციებთან გამკლავების უნარების განვითარება, არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა და ასევე, ბავშვის უფლებების დაცვაზე ზრუნვა.

მოსწავლის ფსიქოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია თითოეული ბავშვის შეცნობა, ინდივიდუალური მიდგომა, ქცევის პოზიტიურად წარმართვა და ასევე, ბავშვებისთვის სხვა ადამიანების წარმატებისა თუ მარცხის გაზიარების აუცილებლობის შეგნება, რაც ხელს უწყობს მეგობრობასა და თანადგომაზე დაფუძნებულ ჯანსაღ ურთიერთობებს.

ამასთანავე, სკოლის ადმინისტრაციასთან და მშობლებთან ერთად ბავშვთა უფლებების დაცვასა და უსაფრთხო გარემოს შექმნის საქმეში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ გარე უწყებებს.

ამასთანავე, სკოლაში უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია ასევე, სკოლის საზოგადოების ფსიქოლოგიური განათლება, რაც გულისხმობს საზოგადოების ინფორმირებას მოსწავლეთა განვითარების ხელშეწყობის ფაქტორების, აგრესიული ქცევის მავნე ზეგავლენის, მოსწავლეთა შორის კონფლიქტების საწყისი ნიშნების ამოცნობასა და ასევე, ემოციების მართვის უნარების გამომუშავებაზე.

„დაბოლოს, მთავარი, რაც მოზარდებს აკლიათ, მშობლიური მზრუნველობა და ყურადღებაა. ყველა მშობელი უნდა ინტერესდებოდეს იმით, რა ხდება მისი შვილის სკოლაში, საკმაოდ დროს უთმობდეს შვილთან იმ პრობლემებზე საუბარს, რომლებიც შესაძლოა თანაკლასელებთან, მასწავლებელთან ურთიერთობისას ან სულაც სკოლისაკენ მიმავალ გზაზე წარმოიშვას“. <http://mastsavlebeli.ge/?p=1857>

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი რეკომენდაციის გათვალისწინებით შესაძლებელია უზრუნველყოთ ბავშვების ჯანსაღი ფსიქიკის განვითარება.

ექსპერიმენტული კვლევა

ჩატარებული კვლევა - კონფლიქტის გამომწვევი მიზეზები სასწავლო პროცესში-ბათუმის მე-6 და მე-14 საჯარო სკოლებში, (VII, IX, X კლასის მოსწავლეების გამოკითხვა)

კვლევის მიზანი - ჩვენს პოპულაციაში, კერძოდ, ბათუმის ორ საჯარო სკოლაში, მოსწავლეების დამოკიდებულების დადგენა სასკოლო კონფლიქტებთან მიმართებაში.

კვლევის ამოცანები - სწავლების პროცესში კონფლიქტის გამომწვევი მიზეზებისა და მათი გადაჭრის გზების ანალიზი. ასევე, სტატისტიკური ინფორმაციის მოძიება, თუ რა მიდგომებს ანიჭებენ უპირატესობას გამოკითხული რესპონდენტები სასკოლო კონფლიქტის არსებობისას.

კვლევის შედეგების საფუძველზე შესაძლებელია ვთქვათ, რომ მოსწავლეები სასკოლო კონფლიქტების მოგვარებისას უპირატესობას ანიჭებენ თანამედროვე მიდგომების გამოყენებას.

კვლევა მოიცავს, როგორც რაოდენობრივ, აგრეთვე თვისობრივ მასალას, რაც საშუალებას გვაძლევს კვლევის შედეგები განვაზოგადოთ და ამავდროულად მკითხველს მივცეთ შესაძლებლობა სიღრმისეულად გაეცნოს კვლევის თვისობრივ ნაწილს.

სასკოლო კონფლიქტების მიმართ მოსწავლეთა დამოკიდებულებების და პრობლემის გადაჭრის გზების ძიებასთან დაკავშირებული გამოკითხვისთვის მასალების მოპოვება განვახორციელეთ ანკეტირების მეთოდით.

ანკეტირების მეთოდით კვლევისათვის შევიმუშავეთ სპეციალური კითხვარი მოსწავლეებისთვის, რომლის მიხედვითაც დავადგინეთ, თუ რამდენ მოსწავლეს აქვს წარმოდგენა სასკოლო კონფლიქტებთან დაკავშირებით და რამდენი მოსწავლე იცნობს კონფლიქტების გადაჭრის სხვადასხვა გზებს.

ანკეტა შედგებოდა თემატურად დაჯგუფებული ღია და დახურული კითხვებისგან. ანკეტა მივაწოდეთ კვლევაში მონაწილე სკოლების წარმომადგენლებს.

მათ გაიარეს წინასწარი ახსნა-განმარტებითი ინსტრუქტაჟი კითხვარის და დანიშნულების თაობაზე. შემდგომში ისინი ინდივიდუალურად უწევდნენ ინსტრუქტირებას მოსწავლეებს, რომელთაც საშუალება ჰქონდათ მათთვის სასურველ დროსა და ვითარებაში გაეცათ პასუხი წარმოდგენილ შეკითხვებზე.

გამოკითხვაში მონაწილე პირები

გამოკითხვა პარალელურად მიმდინარეობდა ბათუმის მე-6 და მე-14 საჯარო სკოლებში. ანკეტირების მეთოდით გამოვკითხე 224 მოსწავლე, კითხვარი იყო ანონიმური, შესაბამისად რესპონდენტთა მიერ არ ყოფილა ნეგატიური დამოკიდებულება გამოკითხვის ფორმასთან დაკავშირებით. გამოკითხულთა უმრავლესობა (52,9%) ფიქრობს, რომ სასკოლო კონფლიქტების მოგვარებისას ერთნაირად მნიშვნელოვანია ორი რგოლი: ოჯახი და სკოლა. გამოკითხულ მოსწავლეთა (60,2%) მიიჩნევს, მშობლებსა და შვილებს შორის კონფლიქტები პიროვნული თვისებების განსხვავებულობის გამო ხდება. კითხვაზე „რას ფიქრობთ სასკოლო კონფლიქტების (მოსწავლეებს შორის) გამომწვევ მთავარ მიზეზებზე?“ მოსწავლეთა ერთი ნაწილი (33,4%) ამბობს, რომ ეს არის საკუთარი სიძლიერის ხაზგასმა, ხოლო მეორე ნაწილი მიიჩნევს, რომ ეს არის დადებითი ემოციების დემონსტრირება სასურველი ადრესატისთვის. კვლევის რესპოდენტთა უმრავლესობა ღია კითხვაში ხაზს უსვამს კონსტრუქციული დიალოგისა და მედიაციის როლის მნიშვნელობას სასკოლო კონფლიქტში.

კვლევის შედეგად მიღებული მონაცემებისა და მათი დამუშავების საფუძველზე გამოიკვეთა, კონფლიქტის წარმოშობის მიზეზებში ბავშვის ფსიქოლოგიის მიმართულებით, როგორც პედაგოგთა, ასევე მშობელთა კომპეტენციის ნაკლებობა, განსაკუთრებით, ამ უკანასკნელის რგოლის პედაგოგიზაციის დაბალი დონე. აღნიშნული დასკვნები საფუძველს იძლევა ჩამოვყალიბოთ რამდენიმე რეკომენდაცია:

-აუცილებელია, კიდევ უფრო გაიზარდოს აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით პედაგოგთა განათლებულობის დონე, როგორც ბავშვთა ასაკობრივი

და პედაგოგიური ფსიქოლოგიის კუთხით, ასევე სასკოლო კონფლიქტების პრევენციისა და კონფლიქტების კონსტრუქციული მოგვარების მიმართულებითაც;

-აუცილებელია, გაიზარდოს მშობელთა პედაგოგიზაციის დონე. სასურველი და ეფექტური იქნება, თუ სკოლის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს კვალიფიციური ფსიქოლოგების მოწვევას სკოლაში, რომლებიც საინტერესო ლექციებს წაიკითხავენ და გარკვეულწილად შეავსებენ მშობლებში ამ მიმართულებით არსებულ სიცარიელეს;

- აღზრდა მრავალმხრივი პროცესია, რომლის განსახორციელებლად რამდენიმე რგოლია ჩართული.მათ შორის წამყვანი ფუნქცია ოჯახსა და სკოლას აკისრია. ასე რომ, საჭიროა მათი მჭიდრო თანამშრომლობა და მშობლების სასკოლო ცხოვრებაში ხშირი ჩართვა, რაც კარგად უზრუნველყოფს როგორც სასწავლო, ასევე აღმზრდელობითი ამოცანების წარმატებით გადაჭრას

მოპოვებული სტატისტიკური მონაცემების მიხედვით მოსწავლეთა დამოკიდებულება სასკოლო კონფლიქტებთან მიმართებაში ძირითადად ერთგვაროვანია, რადგან რესპონდენტთა დიდი ნაწილი ბაზისურ დონეზე იცნობს სასკოლო კონფლიქტის გადაჭრის თანამედროვე მიდგომებს. თუმცა აუცილებელია მოსწავლეთათვის მეტი ინფორმაციის მიწოდება, რათა ჰქონდეთ სიღრმისეული ცოდნა თუ როგორი უნდა იყოს კონფლიქტის გადაჭრის გზები კონკრეტულ ვითარებაში.

სწავლების პროცესის ყველა ეტაპზე აუცილებელია, პედაგოგებს გააზრებული ჰქონდეთ მათი როლი. გამომდინარე იქედან, რომ სკოლა არის სივრცე, სადაც ყალიბდება პიროვნება გონებრივად, ფიზიკურად და ზნეობრივად, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მასწავლებლებს ჰქონდეთ შესაბამისი ცოდნა და უნარები, ადეკვატურ და სამართლიან გარემოში ეფექტური მიდგომით გადაჭრან ყველა სასკოლო კონფლიქტი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ერთ-ერთი პრიორიტეტია უსაფრთხო სასკოლო გარემოს შექმნა, რომელიც მოიცავს ფსიქოლოგთა ჩართვას, როგორც უშუალოდ კონფლიქტის პროცესში, ასევე

პრევენციის მიზნით, მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას გაესაუბრონ სპეციალისტს. ასევე, სკოლაში ძალადობის შემცირების მიზნით, განათლების სამინისტრო ხელს უწყობს მოზარდთა ფიზიკურ განვითარებასა და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას.

დასკვნები

ცნობილი ფაქტია, რომ სკოლის მოსწავლეებს შორის კონფლიქტები ყველა დროში ხდებოდა, მაგრამ დღესდღეობით ეს თემა განსაკუთრებით აქტუალური გახდა მომეტებული აგრესიის ფონზე თუ სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენით.

მოზარდობის პერიოდში ორგანიზმში დიდი ცვლილებები მიმდინარეობს, როგორც ფიზიკური, ასევე ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. აქედან გამომდინარე, მოზარდობის ასაკში იზრდება კონფლიქტების წარმოშობის რისკი, რომელიც შეიძლება გამოვლინდეს ოჯახში, სკოლაში, გარშემომყოფებთან და ა. შ.

აგრესია შინაგანი პრობლემის გარეგანი გამოვლინებაა, ის არის სიმპტომი ემოციური არამდგრადობისა. აგრესიული ქცევა სხვისთვის ზიანის მიყენებას ისახავს მიზნად, იგი განსხვავდება ქცევისგან რომლის დროსაც ხდება საკუთარი უფლებების დაცვა.

პედაგოგმა და უპირველესად, კლასის ხელმძღვანელმა, მოსწავლეები უნდა დაარწმუნოს აგრესიის არაეფექტურ მნიშვნელობაში. ძალიან მნიშვნელოვანია კლასში ურთიერთპატივისცემის, თანამშრომლობის, თანადგომის ატმოსფეროს შექმნა, რაც კლასთან ინტენსიური მუშაობით მიიღწევა. მოსწავლეებმა უნდა დაინახონ, რომ ერთობას, გუნდურ მუშაობას და მეგობრობას რა დადებითი მხარეები აქვს.

კლასის შეკვრასა და დადებითი ურთიერთობების ჩამოყალიბებას დიდად ხელს უწყობს თანამშრომლობითი სწავლება და თავად პედაგოგის დამოკიდებულება მოსწავლეების მიმართ. მეგობრული და ემპათიური დამოკიდებულება ზრდის მასწავლებლის მიმართ ნდობას, რაც შემდგომში ხელს უწყობს ბავშვების მხრიდან გულწრფელობას.

ემპათიის გამოვლენა შესაძლებელია აქტიური მოსმენის გზით. ეს კი, თავის მხრივ საუბრით ნამდვილ დაინტერესებასა და მასზე კონცენტრირებას გულისხმობს. თუ კი აქტიური მსმენელი ხართ, ამით მოსწავლეს უბიძგებთ დადებითი კომუნიკაციის შენარჩუნებისკენ, მას უჩნდება განცდა, რომ მისი საუბარი ნამდვილად მნიშვნელოვანია და შეეცდება გულწრფელი იყოს და ითანამშრომლოს თქვენთან.

სწავლების პროცესში თანამშრომლობითი მეთოდი, სადაც ისინი ერთად ასრულებენ დავალებას, ხსნიან ამოცანებს, ხდება ერთმანეთის მოსაზრების გაცვლა და ა. შ. ხელს უწყობს მოსწავლეთა შორის უფრო აქტიურ ურთიერთობას და ისინი სწავლობენ პასუხისმგებლობის გაზიარებას, თანატოლის დახმარებას, სწავლობენ ერთმანეთთან საუბარს, ერთმანეთის მოსმენას, საკუთარი აზრის გამოთქმას, უვითარდებათ სოციალური უნარ-ჩვევები, რაც შემდეგში ხელს უწყობს კონფლიქტის კონსტრუქციული გზით მოგვარებას.

კონფლიქტის მოგვარების საუკეთესო გზა მისი კონსტრუქციული გზით მოგვარებაა, რაც გულისხმობს ისეთი გადაწყვეტილების მიღებას, რომლის შედეგადაც ორივე მხარე მიდის კომპრომისზე და ორივე მხარე მოგებულა.

კონფლიქტის მართვის კუთხით სწორად წარმოებული მოლაპარაკებები მნიშვნელოვან შესაძლებლობებს იძლევა. როცა მოსწავლეებს ვებმარებით პრობლემების მოგვარებაში, მთავარი აქცენტი იმაზე კი არ უნდა იყოს გაკეთებული, რომ მოცემულ მომენტში არსებული უთანხმოება მოგვარდეს, არამედ იმაზე, რომ სკოლის მოსწავლეებს დავანახოთ ახალი საშუალებები და გზები, თუ როგორ მოაგვარონ ანალოგიური კონფლიქტები მომავალშიც, მოლაპარაკებების გზით. წარმატებულად გადაწყვეტილი დავა უნდა იყოს გამოცდილება მოზარდებისთვის. იგი უნდა აძლევდეს მათ შესაძლებლობას აითვისონ ახალი პრაქტიკული უნარი.

ჩვენი მხრიდან გასათვალისწინებელია ის, რომ კონფლიქტის გადაჭრის არცერთი გზა არ უნდა ლახავდეს მოსწავლის ღირსებასა და თავმოყვარეობას.

გასათვალისწინებელია ის, რომ ძალიან ხშირად ბავშვებს დამოუკიდებლად, უფროსების დახმარების გარეშეც შეუძლიათ მოაგვარონ თანატოლთან კონფლიქტური სიტუაცია. ამდენად, კარგი იქნება, თუ მას გარკვეულ საზღვრებში

დამოუკიდებლად მოქმედების უფლებას მივცემთ. თუმცა, ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება მისაღები და ამასთანავე შესაძლებელი, თუ სიტუაცია უმნიშვნელო მიზეზის გამო დაიძაბა და მოზარდს მისი მოგვარების უნარი აქვს.

ბავშვებთან კომუნიკაციისას ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზე, რომ ბულინგი არასწორი, უსამართლო საქციელია, ადამიანს უკარგავს თავისუფლებას და აყენებს სერიოზულ სტრესს და ბულინგის მსხვერპლს უფლება აქვს დაიცვას საკუთარი თავი. ბავშვებთან ერთად უნდა მოხდეს ბულინგის განხილვა, სადაც საუბარი იქნება ბულინგში მონაწილე პირების პასუხისმგებლობებზე, მაგალითად რა უნდა გააკეთონ ბულინგის შემთხვევაში.

უსაფრთხო გარემო, პირველ რიგში, გულისხმობს ფიზიკურ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობას, მაგალითად: უსაფრთხო ინფრასტრუქტურა, საკლასო ოთახი და ასევე ფიზიკური ძალადობისგან დაცვა. ფიზიკურ უსაფრთხოებასთან ერთად, აუცილებელია, მოსწავლეების ფსიქოლოგიური უსაფრთხოების გათვალისწინება. უსაფრთხო ფსიქოლოგიურ გარემოში მოიაზრება: ბავშვებისადმი ჰუმანური დამოკიდებულება, პოზიტიური ურთიერთობებისთვის ხელშეწყობა, მოზარდების დაცვა მატრავმირებელი სიტუაციებისგან და სხვების მხრიდან მუქარებისგან, მოსწავლეების ქცევის მართვისა, სტრესულ სიტუაციებთან გამკლავების უნარების განვითარება, არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა და ასევე, ბავშვის უფლებების დაცვაზე ზრუნვა.

სკოლის ადმინისტრაციასთან და მშობლებთან ერთად ბავშვთა უფლებების დაცვასა და უსაფრთხო გარემოს შექმნის საქმეში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ გარე უწყებებს.

მოსწავლის ფსიქოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია, თითოეული ბავშვის შეცნობა, ინდივიდუალური მიდგომა, ქცევის პოზიტიურად წარმართვა და ასევე, ბავშვებისთვის სხვა ადამიანების წარმატებისა თუ მარცხის გაზიარების აუცილებლობის შეგნება, რაც ხელს უწყობს მეგობრობასა და თანადგომაზე დაფუძნებულ ჯანსაღ ურთიერთობებს.

სკოლაში უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია ასევე, სკოლის საზოგადოების ფსიქოლოგიური განათლება, რაც გულისხმობს საზოგადოების ინფორმირებას მოსწავლეთა განვითარების ხელშემწყობი ფაქტორების, აგრესიული ქცევის მავნე ზეგავლენის, მოსწავლეთა შორის კონფლიქტების საწყისი ნიშნების ამოცნობასა და ასევე, ემოციების მართვის უნარების გამომუშავებაზე.

უსაფრთხო, თანადგომასა და მხარდაჭერაზე ორიენტირებული სასკოლო გარემო კონფლიქტური სიტუაციების და ბულინგის თავიდან აცილების საუკეთესო საშუალებაა.

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად მიღებული მონაცემებისა და მათი დამუშავების საფუძველზე შეგვიძლია ჩამოვაცალიბოთ რამდენიმე რეკომენდაცია:

-აუცილებელია, კიდევ უფრო გაიზარდოს აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით პედაგოგთა განათლებულობის დონე, როგორც ბავშვთა ასაკობრივი და პედაგოგიური ფსიქოლოგიის კუთხით, ასევე სასკოლო კონფლიქტების პრევენციისა და კონფლიქტების კონსტრუქციული მოგვარების მიმართულებითაც ;

-აუცილებელია, გაიზარდოს მშობელთა პედაგოგიზაციის დონე. სასურველი და ეფექტური იქნება, თუ სკოლის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს კვალიფიციური ფსიქოლოგების მოწვევას სკოლაში, რომლებიც საინტერესო ლექციებს წაიკითხავენ და გარკვეულწილად შეავსებენ ამ მიმართულებით არსებულ სიცარიელეს;

- აღზრდა მრავალმხრივი პროცესია, რომლის განსახორციელებლად რამდენიმე რგოლია ჩართული. მათ შორის წამყვანი ფუნქცია ოჯახსა და სკოლას აკისრია. ასე რომ, საჭიროა, მათი მჭიდრო თანამშრომლობა და მშობლების სასკოლო ცხოვრებაში ხშირი ჩართვა, რაც კარგად უზრუნველყოფს როგორც სასწავლო-აღმზრდელობითი ამოცანების წარმატებით გადაჭრას, ასევე კონფლიქტური სიტუაციების პრევენციას.

გამოყენებული ლიტერატურა

- 1) თეზელიშვილი ს. „ფსიქოლოგიური ენციკლოპედია“ თბილისი 2007
- 2) ლაბარტყავა ნ. ოსიაშვილი ქ. საჯაია მ. კობალაძე ქ. მასწავლებლის წიგნი „უსაფრთხო სკოლა“ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2018
- 3) მუხინა ვ.ს. „ბავშვის ფსიქოლოგია“ თბილისი 1989
- 4) ნიჭარაძე ნ. მაკლეინი ქ. ბოლი ტ. გოგიჩაძე ნ. ლოდია თ. „სასწავლო და პროფესიული გარემო“ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2008წ
- 5) პეტროვსკი ა.ვ. „ასაკობრივი და პედაგოგიური ფსიქოლოგია“ თბილისი 1977
- 6) მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი - „სკოლებში ბუღინგის პრევენცია და ტოლერანტული კულტურის განვითარების ხელშეწყობა“ www.tpdc.ge 2016წ
- 7) უზნაძე დ. „ბავშვის ფსიქოლოგია“ თბილისი 2005
- 8) ჯანელიძე ა. ლაბარტყავა . კვირიკაშვილი ვ. ქობალია ქ. მასწავლებლის წიგნი „განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებისთვის“ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2014წ
- 9) Anderson, S. W., Bechara, A., Damasio, H., Tranel, D. & Damasio, A. R. (1999). Impairment of social and moral behavior related to early damage in human prefrontal cortex. *Nature Neuroscience*, 2 (11), 1032 – 1037.
- 10) Olweus, D. (1979). Stability of aggression. *Psychological Bulletin*, 86, 852 – 875

- 11) Olweus, D. (1989). The Olweus Bully/Victim Questionnaire. Mimeograph. Bergen, Norway.
- 12) https://naec.ge/uploads/images/doc/SXVA/naec_journal11_2.pdf - ბეჟანიძე თ. 2016 წ - „ერთად შევექმნათ ძალადობისგან თავისუფალი სკოლა“ - ჟურ: naec journal N11
- 13) <http://mastsavlebeli.ge/?p=122> - “კონფლიქტების კონსტრუქციული გადაჭრა კლასში“ - ბერძენიშვილი ც. 2015წ
- 14) <http://mastsavlebeli.ge/?p=18240> – „კონფლიქტები ბავშვებში - გამომწვევი მიზეზები და დაძლევის გზები“ - ოსიაშვილი ქ. 2018წ
- 15) <https://befriend.mes.gov.ge/article/?id=21> – „სასკოლო ბულინგი: დეფინიცია, ინტერვენცია, პრევენცია“ ალანია მ.
- 16) <http://mastsavlebeli.ge/?p=1857> - „კონფლიქტი სკოლაში“ ჭაბაშვილი კ. 2014წ

დანართი N1

მკირფასო მოსწავლეებო, თქვენ არ აფიქსირებთ საკუთარ გვარსა და სახელს, შესაბამისად, ვერავინ გაიგებს, როგორ უპასუხეთ შეკითხვებს. გთხოვთ იყოთ გულწრფელი! მაღლობა თანამშრომლობისთვის!

1) როცა მშობლები განსაკუთრებულ ყურადღებას გაქცევენ, როგორ რეაქციას იწვევს ეს თქვენში?

ა) ძალიან ღიზიანდებით

ბ) ზომიერად ღიზიანდებით

გ) ყურადღებას არ აქცევთ

დ) ძალიან გსიამოვნებთ

2) დავუშვათ, თქვენი ინიციატივით, მშობლების დაუკითხავად სახლში მიიყვანეთ მოსავლელად მაწანწალა ძაღლი. როგორი იქნება თქვენი მშობლების რეაქცია?

ა) ძალიან გაბრაზდებიან

ბ) გაგვაკრიტიკებენ

გ) გაგვაკრიტიკებენ და ძაღლს გააგდებენ გარეთ

დ) მოიწონებენ ჩვენს საქციელს და შეგვაქებენ

3) დავუშვათ, თქვენ გიყვართ როკ მუსიკა, თქვენს მშობლებს კი ფოლკლორული ჟანრი მოსწონთ. თქვენ ცდილობთ, რომ თავისუფალ დროს სახლში როკ მუსიკა ისმოდეს. როგორი იქნება თქვენი მშობლების რეაქცია?

ა) გაბრაზდებიან

ბ) გვეტყვიან რომ არ გვივარგა მუსიკალური გემოვნება

გ) გაგებით მოეკიდებიან ჩვენს გემოვნებას

დ) როცა მუსიკას შეცვლიან ფოლკლორული ჟანრის მუსიკით

4) როცა არასასურველ ქცევებს ავლენთ, მშობლები უფრო მკაცრები არიან თუ მასწავლებლები?

ა) მშობლები

ბ) მასწავლებლები

გ) ერთნაირები არიან

5) თქვენ პიროვნული თვისებებით ბევრი რამით ჰგავხართ მშობლებს, ბევრი რამით განსხვავდებით. ხანდახან მშობლებსა და შვილებს შორის კონფლიქტები პიროვნული თვისებების განსხვავებულობის გამო ხდება. ეს თქვენს შემთხვევაშიც ასეა?

ა) ძალიან ხშირად ბ) ხანდახან გ) საერთოდ არ ხდება

6) კონკურენტულ გარემოში სწავლების პროცესი გსიამოვნებთ?

ა) დიახ ბ) არა გ) ხანდახან

7) როგორ ფიქრობთ, კლასში ქცევის წესებს რომელ მასწავლებლებთან არღვევთ უფრო:

ა) მასწავლებლები, რომლებიც უფრო მკაცრები არიან

ბ) მასწავლებლები, რომლებიც გიყვარს

გ) ყველასთან ერთნაირად

8) რას ფიქრობთ სასკოლო კონფლიქტების (მოსწავლეებს შორის) მთავარი მიზეზები შემდეგშია?

ა) სხვებს დაუმტკიცონ საკუთარი სიძლიერე

ბ) საკუთარი ფიზიკური ძალის დემონსტრირებით მოაწონონ თავი მათთვის სასურველ პირს

გ) დაუმტკიცონ საკუთარი გემოვნების უპირატესობა

დ) გათავისუფლდნენ უარყოფითი ემოციებისგან

9) თქვენი აზრით, სასკოლო კონფლიქტების მოგვარებისას რომელია მნიშვნელოვანი რგოლი?

ა) სკოლა

ბ) ოჯახი

გ) სკოლა და ოჯახი ერთად

10) გთხოვთ, რამდენიმე წინადადებით ჩამოაყალიბოთ: თქვენ რომ მასწავლებლები იყოს როგორ შეუწყობთ ხელს მოსწავლეებში კონფლიქტების მოგვარებას?